# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 სექტემბერი 2005 №205 (2528) ფასი 50 თეთრი

# დანიაში საქართველოს ნაკრები გაSIXეს

## არის ანტირეკორდი: ერთ თამაშში ექვსი გოლი არასოდეს გაგვიშვია

AFP კოპენჰაგენიდან





ბადრი კოჭლამაზაშვილის ფოტო

# ის ცოცხალია!

საქართველოს ნაკრებმა სპორტის სასახლეში მაკედონია დაამარცხა და ოცნება გააცოცხლა. დიდებული შეგრძნებაა, შენი ქვეყნის ეროვნული გუნდი მეტოქეს რომ უგებს, მაგრამ ამ ტკბილ გრძნობას სინანულიც ახლავს:

## აი, ფინეთში რომ არ წაგვეგო...

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისე ყველაფერი არ აგიხდეთ

## ვიკინგებმა ქართველები რქებზე წამოიცვეს

კოპენჰაგენი. 7 სექტემბერი. 22 საათი. პარკენ სტადიონი. 27 177 (ტევადობა 42 000)

### დანია 6:1 საქართველო

1:0 კ. იენსენი (10), 2:0 პოულსენი (31), 2:1 დემეტრაძე (36პ), 3:1 აგერი (43), 4:1 ტომასონი (56), 5:1, 6:1 ლარსენი (80, 86)

**დანია:** სორენსენი, პოულსენი (კალენბერგი 59), გრავგაარდი, აგერი, ნ. იენსენი, ჰელვეგი, გრავესენი, კ. იენსენი (ლარსენი 64), ტომასონი (პერესი 68), იორგენსენი, რომედალი
*სათადარიგონი:* კრისტიანსენი; პრისკე, დ. იენსენი, გრონკიაერი
**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი

**საქართველო:** ლომაია, ქალაძე, ხიზანიშვილი, კობიაშვილი, ოდიკაძე (განუგრავა 59), ცქიტიშვილი (სალუქვაძე 82), გოგუა, გახოკიძე, ასათიანი, დემეტრაძე (მუჯირი 68), მენთეშაშვილი
*სათადარიგონი:* სტურუა; ალადაშვილი, აშვეთია, ჩხეტიანი
**მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე

**გაფრთხილება:** განუგრავა (63), კალენბერგი (77)

**გაძევება:** ხიზანიშვილი (19)

**მსაჯები:** ე. ბოჟინოვსკი; ნ. მიხაილოვი, ნ. იოსიპოვი; პ. პატოკაი (ყველა მაკედონია)





ბახა შალამბერიძე
*კოპენჰაგენიდან*

**კოპენჰაგენში** დილიდანვე საამო ამინდი იყო. არც მზეა და გრილი სიოც უბერავს. თამაშამდე ჯერ კიდევ 8-9 საათით ადრე, დილიდანვე გამოჩნდნენ წითელ-თეთრ ქუდებში და დანიის ნაკრების მაისურებში გამოწყობილი ფანები — მათი თავდაპირველი მარშრუტი ცნობილია: ყველანი კაფეებისა და ლუდხანებში...

გულშემატკივრებმა სტადიონის შევსება მატჩამდე 2-3 საათით ადრე დაიწყეს. მინდორზე მისასალმებლად გასული დანიელი ფეხბურთელები მათთვის მოულოდნელად ჩართულმა სარწყავმა სისტემამ თავიდან ბოლომდე გაწუწა, რასაც ტრიბუნების მხიარული ყიჟინი მოჰყვა.

თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე სკანდინაველთა ერთ-ერთმა კონკურენტმა საბერძნეთმა ყაზახეთს 2:1 მოუგო. სენსაციური არაფერია, თუმცა ამ ამბავმა დანიელთა მატჩამდელ განწყობაზე კატალიზატორივით იმოქმედა — მიზანი უსიკვდილოდ მოგებაა. სადაცაა, მატჩი დაიწყება, ტრიბუნები კი სამი მეოთხედითაა შევსებული.

გუნდები მინდორზე გამოვიდნენ და ჰიმნების შესრულებამდე დანიელთა კაპიტანმა ტომას ჰელვეგმა მეკარე ტომას სორენსენს თაიგული გადასცა — სორენსენი 50-ე მატჩს ატარებდა ეროვნულ ნაკრებში.

საქართველოს ნაკრების თავკაცმა გაიოზ დარსაძემ ზუსტად იგივე ტაქტიკური სქემა აირჩია, როგორიც უკრაინასთან ჰქონდა. შემადგენლობაში კი ერთადერთი ცვლილება ჯაბა კანკავას მაგივრად გოგიტა გოგუას გამოჩენა იყო.

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო, დანიელები ეგრევე გასატანად გაიწივნენ, თუმცა პირველი ჩხვლეტა ქართველებისა იყო — მალხაზ ასათიანის პასით გიორგი დემეტრაძეს შეეძლო ეხეირა, მაგრამ „დემე“ მცველებთან ბრძოლისას წაიქცა, რასაც მსაჯმა ყურადღება არ მიაქცია.

მე-10 წუთზე კი დანიამ გაიტანა: იონ დალ ტომასონის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო კლაუს იენსენმა ბრწყინვალედ შეასრულა — 1:0. რამდენიმე წუთში გოგა გახოკიძემ კინაღამ „უკრაინული გოლი“ გაიმეორა, თითქმის იმ წერტილიდან დაარტყა ჯარიმა და ოდნავ ააცილა. დანიელები ბურთს სწრაფად აგორებდნენ, წამებში უახლოვდებოდნენ გიორგი ლომაიას ბაქანს, მაგრამ შეტევები იქვე ეფუშებოდათ. მე-19 წუთზე ცქიტიშვილ-ასათიან-დემეტრაძის კომბინაცია უზუსტო დარტყმით დამთავრდა, ხოლო დანიელთა კონტრშეტევისას კი ტომასონი თითქმის პირისპირ რჩებოდა ლომაიასთან, როცა ზურაბ ხიზანიშვილმა მაისურაზე დაქაჩა — მსაჯი ულმობელი იყო, „ხიზანას“ წითელი ბარათი ამოუღო.

დარსაძემ ტაქტიკა გადააწყო — ასათიანი დაწია ცენტრალურ მცველად. ქართველები უმწეოდ გამოიყურებოდნენ, ქომაგებით გამხნევებული დანიელები კი შმაგად ცდილობენ მეორე გოლის გატანას და აი, ისიც: 31-ე წუთზე დანიელ აგერმა თავით გადააწოდა პოულსენს და მანაც თავით გაიტანა — 2:0.

36-ე წუთზე დემეტრაძემ პატარა იმედი ჩაგვისახა: მეორე ჯერზე მაინც მოინადირა პენალტი და ქომაგთა ყიჟინის მიუხედავად, უნაკლოდ შეასრულა — 2:1 და სტადიონი დადუმდა. მასპინძლები ისე ვეღარ უტევენ, რამაც მორტენ ოლსენი აანერვიულა, მაგრამ...

შესვენებამდე დანიამ ერთი გოლი კიდევ მოასწრო და ეს აგერმა გააკეთა, როცა ნაკუთხურალ ბურთს მარჯვედ დახვდა — 3:1.

და, სასწაული: ცენტრიდან გათამაშებული ბურთი ქართველებმა სორენსენის კარამდე მიიტანეს, კარის ხაზის წინ დარჩენილმა დემეტრაძემ დარტყმას პასი ამჯობინა და... დავით ოდიკაძემ ბურთს ფეხი ააცილა. სულ რაღაც წამებში ნიკლას იენსენმა ხარიხა შეაზანზარა — ფანტასტიკური წუთნახევარი იყო.

მეორე ნახევარი შედარებით მშვიდად დაიწყო, დანიას სანერვიულო არაფერი ჰქონდა. ქართველები სხვაობის შემცირებაზე კი ფიქრობენ, მაგრამ სტუმრად 10 კაცით ეს როგორი გასაკეთებელია, თავად მიხვდებით. 56-ე წუთზე კი მარტინ იორგენსენის დაბალი პასით ტომასონმაც მიითვალა გოლი — 4:1.

მომდევნო შეტევისას დენის რომედალს ლომაიამ აუღო. ამის შემდეგ ქართველებმა მეტოქის მოედანზე გადასვლას უხშირეს, მაგრამ დანია დაცვაშიც მაგრად იდგა, ხოლო შეტევებისას რიცხობრივ უპირატესობას კარგად იყენებდნენ.

78-ე წუთზე ჩვენებს შეეძლოთ გატანა, მაგრამ ცქიტიშვილის საჯარიმო ხარიხას მოხვდა...

და 5:1 — სორენ ლარსენმა იორგენსენის ჩაწოდებისას მახვილი კუთხიდან თავით თავზე გადაუგდო ბურთი ლომაიას. ეს 80-ე წუთზე მოხდა, მალე კი იორგენსენმა კიდევ ერთი საგოლე პასი გაიფორმა, ლარსენმა — დუბლი და... ვეღარ კითვლი, უკვე 6:1-ია.

დანია მატჩის ბოლო წუთამდე უტევდა და აქაურთა პროგნოზიც გამართლდა: ხომ ამბობდნენ, ქართველ მეკარეს საქმე არ გამოელევაო.

ჩვენ რაღა ვქნათ?..

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 11 | 7 | 3 | 1 | 16:5 | 24 |
| თურქეთი | 11 | 5 | 5 | 1 | 13:9 | 20 |
| საბერძნეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 18 |
| დანია | 10 | 4 | 4 | 2 | 21:11 | 16 |
| ალბანეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 9:17 | 12 |
| საქართველო | 10 | 2 | 3 | 5 | 14:24 | 9 |
| ყაზახეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 5:27 | 0 |

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

I ჯგუფი
ჰოლანდია 4:0 ანდორა
ჩეხეთი 4:1 სომხეთი
ფინეთი 5:1 მაკედონია

III ჯგუფი
რუსეთი 0:0 პორტუგალია
ლატვია 1:1 სლოვაკეთი
ლიხტენშტაინი 3:0 ლუქსემბურგი

IV ჯგუფი
ირლანდია 0:1 საფრანგეთი
ფარერები 0:2 ისრაელი
კვიპროსი 1:3 შვეიცარია

V ჯგუფი
ნორვეგია 1:2 შოტლანდია
ბელარუსი 1:4 იტალია
მოლდოვა 1:2 სლოვენია

VI ჯგუფი
პოლონეთი 1:0 უელსი
აზერბაიჯანი 0:0 ავსტრია
ჩრდ. ირლანდია 1:0 ინგლისი

VII ჯგუფი
ლიტვა 0:1 ბოსნია
ბელგია 8:0 სან მარინო
ესპანეთი 1:1 სერბეთი

VIII ჯგუფი
მალტა 1:1 ხორვატია
უნგრეთი 0:1 შვედეთი
ბულგარეთი 3:2 ისლანდია

### იტალია

სერია B. III ტური
ჩეზენა 0:2 ატალანტა
არეცო 2:0 კროტონე
სერია C1/A. III ტური
ჯენოა 0:0 პიციგეტონე

### ამხანაგური მატჩი

გერმანია 4:2 სამხრეთ აფრიკა



2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# ქულა სურდა და ვერ მიიღეს



**ყაზახეთი 1:2 საბერძნეთი**
1:0 ჟუმასკალიევი (53), 1:1 იანაკოპულოსი (79), 1:2 ლიბეროპულოსი (90)
**ყაზახეთი:** ლორია, ფამილცევი (ტრავინი 74), აზოვსკი (ლარინი 52), ავდეევი, სმაკოვი, კუჩმა, კარპოვიჩი, ხოხლოვი, ლიტვინენკო, როდიონოვი, ჟუმასკალიევი (ბალტიევი 81)
**მწვრთნელი:** სერგეი ტიმოფეევი
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ბასინასი, კაპსისი, ფისასი (გეკასი 76), იანაკოპულოსი, კარაგუნისი, კაცურანისი (კაფესი 60), ზაგორაკისი, ხარისტეასი, ვრიზასი (ლიბეროპულოსი 55)
**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი
**გაძევება:** კარპოვიჩი (86), როდიონოვი (90)
**მსაჯი:** ა. ტუდორი (რუმინეთი)

კუსტანაის „ტობოლის“ თავდამსხმელმა ნურბოლ ჟუმასკალიევმა 53-ე წუთზე ბერძენთა მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისს ორჯერ ზედიზედ დაურტყა, პირველად ბურთს მცველი გადაეფარა, მეორედ კი ნურბოლს საგოლედ მოაჯდა და... ყაზახეთი 1:0-ს იგებს ევროპის ჩემპიონებთან! მაშინვე ბევრი გაიფიქრებდა, აი, თურმე რა გმირული მატჩი მოუგია გაიოზ დარსაძის გაწვრთნილ საქართველოს ყაზახეთშიო.

ნეტავ, ჩვენი თვალით მაინც არ გვენახა, რა ბედოვლათი ნაკრები ჰყავს სერგეი ტიმოფეევს და ხომ წარმოგიდგენიათ, ამ დონის გუნდთან ჩამორჩენისას რა ოფლის წვეთები დაასხამდა ბერძნების თავკაც ოტო რეჰაგელს?!

არადა, ყაზახეთი გოლამდეც ტოლ-სწორად ეთამაშებოდა ელადელებს. ჟუმასკალიევმა და ოლეგ ლიტვინენკომ ნაღდი მომენტები გაანიავეს, ერთხელ სტუმართა მცველმა იურკას სეიტარიდისმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. ბერძენთაგან ერთადერთი საპირველტაიმო გასატანი აიაქსელ ანგელოს ხარისტეასს ჰქონდა, მაგრამ 5-6 მეტრიდან ააცილა.

ჟუმასკალიევის გოლზე უკვე ვთქვით და, მაშინღა მიხვდნენ ბერძნები, რომ „თუ თევზის დაჭერა გინდა...“ სტუმარი მცველებიც კი ყაზახთა საჯარიმოში მიქუჩდნენ და დავით ლორიას თავის მოსაფხანადაც აღარ ეცალა.

რეჰაგელის გუნდიდან გამორჩეულმა, ფუტკარივით მობზრიალე სტელიოს იანაკოპულოსმა სეიტარიდისის პასს პრიალა თავი უთავაზა — 1:1 და ბერძნები გადამწყვეტი გოლისთვის დაიგეშნენ.

ყაზახებს კი, ალბათ, ნერვები აუტოკდათ და მსაჯმა ჯერ კარპოვიჩი, ბოლო წუთზე კი დენის როდიონოვი გააძევა. მერე კი, ყაზახების, თურქებისა და დანიის გულსატკენად, მეოთხე დამატებულ წუთზე „პანათინაიკოსის“ ფორვარდმა ნიკოს ლიბეროპულოსმა ნაკუთხურალისას შექმნილ არეულობაში ბურთს ფეხი წაჰკრა და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა შეჰმატა საბერძნეთს.

ცხრილს ჩახედეთ და მიხვდებით, რატომაც გამწარდებოდნენ თურქეთი და დანია. საბრალო ყაზახებს კი ამ ჯგუფში ქულის აღება, ალბათ, არ უწერიათ...

**ილია ნანოგაშვილი**

# თურქებმა ქაბაბი სამხრეთულად მიირთვეს



**უკრაინა 0:1 თურქეთი**
0:1 მეთინი (55)
**უკრაინა:** შოვკოვსკი, ფიოდოროვი, ვაშჩუკი, რუსოლი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, გუსევი, ბელიკი, გუსინი (ვორონინი 84), რებროვი (შელაევი 79), ვენგლინსკი (როტანი 68)
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**თურქეთი:** ვოლქანი, ჰამით ალტინტოპი, იბრაჰიმ თორამანი, უმითი, სელჩუკ საჰინი, ალფაი, მეთინი, ფათიჰი, ჰაქან შუქური, ჰუსეინი (ქარადენიზი 46), სერჰათ აკინი (ოქან ბურუქი 87)
**მწვრთნელი:** ფათიჰ თერიმი
**მსაჯი:** ალენ სარსი (საფრანგეთი)

შეიძლება ითქვას, თურქებმა უკრაინელებს სამხრეთულად მოუგეს — ფათიჰ თერიმის გუნდმა ოლეგ ბლოხინის სამწყსოს ბურთის ფლობით და ტექნიკით აჯობა და სადაც სირბილით და ჭიდაობით იყო საძიძგილაო, არც იქ დათმო.

პირველი ხიფათი თურქებმა შექმნეს — ფათიჰ თეკემ 12-13 მეტრიდან ხარიხას გადაავლო ბურთი. უკრაინელებმა ანატოლი ტიმოშჩუკის საჯარიმო დარტყმით უპასუხეს — ბურთმა ძელს ისე ჩაუქროლა, ვოლქანმა ოდენ თვალი გააყოლა.

აქედან ორიოდ წუთში სტუმრებმა ხანმოკლე შტურმი მოუწყვეს მასპინძლებს: თეკე შოვკოვსკისთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა, რამდენიმე წამში ჰაკან შუქურმა მოიგო მაღალი ბურთი და კარადენიზს დაუგდო, მაგრამ მან ჩინებული პასი ვერ შეიშნოვა.

ამის შემდეგ მოედნის ცენტრში გაჩაღდა ხისტი და აგრესიული თამაში, ჰოდა, ალტინტოპი და გუსევი ყვითელ ბარათებსაც გამორჩნენ. უკრაინამ ნელ-ნელა თამაში გამოასწორა და ორჯერ დაემუქრა თურქეთს — ვორონინმა 25 მეტრიდან ოდნავ ააცილა კარს, ხოლო ტიმოშჩუკს ვოლქანმა აუღო.

მეორე ტაიმი ათი წუთის დაწყებული იყო და თურქებმაც გაიხარეს — მეთინმა ცენტრიდან მოარღვია უკრაინის დაცვა, ორი მეტოქე ჩამოიცილა, შოვკოვსკისთან პირისპირ აღმოჩნდა და დაბალი ბურთიც გაუტანა.

უკრაინელები ვითომ პასუხისთვის გაიქაჩნენ, მაგრამ მალევე დაშოშმინდნენ — დაახლოებით ხუთი წუთი თურქებმა, რომ იტყვიან, ბურთი დაუმალეს მეტოქეს.

75-ე წუთზე კი მასპინძლებს უნაღდესი მომენტი გაუცუდდათ — ვენგლინსკიმ კარს ახლოდან ააცილა.

მატჩის მიწურულს უკრაინელები გრძელი „პარაშუტებით“ აგდებდნენ ბურთს თურქთა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან, რითაც თამაშს ვერ ამწვავებდნენ. ბოლო წუთზე კი იმავ ვენგლინსკის მართებდა გატანა, მაგრამ ვოლქანმა იმარჯვა.



# ხიზანეიშვილი უკვე დარბის

„ფრაიბურგისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების 23 წლის მცველი ოთარ ხიზანეიშვილი ორი ოპერაციის შემდეგ ვარჯიშს შეუდგა — ოთარი ახლა ძუნძულით დარბის და ტრენაჟორებითაც იღებს ოფლს, ხოლო თუ როდის დაიწყებს სრული დატვირთვით ვარჯიშს, ჯერ უცნობია. რაც მთავარია, ხიზანეიშვილის სარეაბილიტაციო პროცესი კარგად მიდის.

ოთარი 30 მარტს თურქეთთან მატჩში დაშავდა და მერე ორი ოპერაციის გაკეთებამ მოუწია — ჯერ მენისკზე უმკურნალეს, მერე კი მუხლის ჯვარედინი იოგებიც გაუმრთელეს — ორივე ოპერაცია ფრაიბურგელმა შვეიცარიაში გაიკეთა.

სავარაუდოდ, ხიზანეიშვილი წლის ბოლოსთვის იქნება სრულ მზადყოფნაში.

**დავით თავართქილაძე**



# მიხედავენ აფხაზეთის შვილები სოხუმს?

## უფულო დინამო ფეხბურთელებით გაძლიერდა

**თექვსმეტგუნდა** უმაღლეს ლიგაში პატრიოტულ-პოლიტიკური პრინციპით მოხვედრილ სოხუმის „დინამოს“ ფინანსური პრობლემები მიეძალა. გუნდი ახლა მე-12 ადგილზეა და თუ ფული არ მიაშველეს, სახეირო პერსპექტივა არანაირად არ უჩანს.

გუნდის თავკაცი გოჩა ჟორჟოლიანი იმედიანადაა და „სარბიელს“ უთხრა კიდეც: „აფხაზეთის ფეხბურთს აფხაზეთის შვილები მიხედავენ“.

მოკლედ, სოხუმის „დინამოს“ დახმარება სჭირდება და სანამ მოფულიანდება, ორი ახალი ფეხბურთელი დაიმატა — მცველი ლევან სილაგაძე და შემტევი ვალერი გაგუა — ორივე ბოლოს ისრაელში თამაშობდა. ისრაელში წასვლამდე 29 წლის სილაგაძე თბილისის „დინამოში“ იყო, ეროვნულ ნაკრებში კი 21 მატჩი უთამაშია.

**დავით თავართქილაძე**

32 წლის მეკარე სოსო გრიშიკაშვილი, ვისაც ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი უთამაშია, საამსეზონოდ „თბილისიდან“ აზერბაიჯანულ „ბაკიში“ გადავიდა, თუმც მერე იქიდან წამოვიდა და ახლახან თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა... გრიშიკაშვილს „დინამოში“ ადრეც უთამაშია, თუმც ოთხი წლის წინ კლუბში ხელმძღვანელობის შეცვლას უფროსობასა და რამდენიმე ფეხბურთელს შორის ურთიერთობის გაფუჭება მოჰყვა და სოსო „დინამოდან“ წავიდა... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და გრიშიკაშვილიც „დინამოში“ დაბრუნდა...




# აზერბაიჯანში ფული კი აქვთ, მაგრამ...
## გრიშიკაშვილი ირჩევს თბილისს და დინამოს

— „ბაკიში“ დაახლოებით ორი თვე იყავი და მერე ისევ საქართველოში დაბრუნდი — აზერბაიჯანში რა შეგემთხვა?

— არაფერი, უბრალოდ, „დინამოში“ გადასვლის ვარიანტი გამოჩნდა და მეც წამოვედი. „ბაკისთან“ კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ ჩემი თხოვნით ხელშეკრულება დაირღვა. ვუთხარი, ოჯახური პრობლემები მაქვს და გამიშვით-მეთქი. „ბაკის“ მწვრთნელი ჩემს თხოვნას გაგებით მოეკიდა, რომ არა ის, კონტრაქტის დარღვევა გამიჭირდებოდა. ერთი სიტყვით, „ბაკიდან“ იმიტომ წამოვედი, რომ თბილისში ყოფნა და „დინამოში“ თამაში მირჩევნია. „დინამოში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით მივედი.

— „ბაკიში“ ალბათ გუნდის პირველ მეკარედ ითვლებოდი, „დინამოში“ როგორ იქნება?

— „ბაკიში“ პირველ მეკარედ კი ვითვლებოდი, მაგრამ უეფას თასზე „ჟილინასთან“ ვერ ვითამაშე. ისე, „ჟილინასთან“ სტუმრად 1:1-ის შემდეგ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ორი გოლი მატჩის ბოლო წუთებზე გავუშვით. მე „ჟილინასთან“ პირველ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე მზის დაკვრა მივიღე, რომ გამოვკეთდი, კვლავ იღბალმა დამალალატა — საზარდული დამეჭიმა. „ბაკის“ პრეზიდენტი ამან ძალიან შეაწუხა, მაგრამ მერე კლუბმა ორმაგი მოქალაქეობის მიღება შემომთავაზა — აზერბაიჯანში ლეგიონერები ლიმიტირებული არიან, სამატჩო განაცხადში მხოლოდ ხუთი ლეგიონერის შეყვანა შეიძლება. „ბაკის“ 12 ლეგიონერი ჰყავდა, თუმც „ჟილინას“ შემდეგ გუნდი ორმა ალბანელმა დატოვა. მოკლედ, ორმაგ მოქალაქეობაზე უარი ვთქვი, მაგრამ წამოსვლის მიზეზი ეს არ ყოფილა. რაც შეეხება იმას, ვიქნები თუ არა პირველი მეკარე „დინამოში“, ამის გარანტია არავის მოუცია, ყველაფერს კონკურენცია გადაწყვეტს.

**— „დინამოში“ ოთხი წლის შემდეგ დაბრუნდი — როგორ შეადარებდი მაშინდელ სიტუაციას ახლანდელს?**

— ახლა „დინამოში“ ბევრად სერიოზული სიტუაციაა, ვიდრე ოთხი წლის წინ — „დინამოში“ ორი წელი ისე ვითამაშე, ელემენტარული პირობები არ იყო და როცა პირობები გამოსწორდა, „დინამოს“ დატოვებამ მაშინ მომიწია.

**— აზერბაიჯანში როგორი პირობები იყო?**

— აზერბაიჯანულ ფეხბურთში ახლა დიდი ფული ტრიალებს, მაგრამ „ბაკიში“ ისეთი სავარჯიშო პროცესია, „დინამოსთან“ ვერ მივა. აზერბაიჯანში ფული კი აქვთ, მაგრამ წმინდა პროფესიონალური ასპექტებისგან ჯერ შორს დგანან, საამისოდ დროს სჭირდებათ.

**— ზოგს სოსო გრიშიკაშვილი სანაკრებოდ ჩამოწერილი ჰგონია...**

— თუ ასე ჩემი ასაკის გამო ფიქრობენ, ეს სისულელეა. ფიზიკურად თავს ახლა ისე ვგრძნობ, როგორც ათი წლის წინ, თან ახლა გამოცდილებაც მომემატა. ნაკრებში დაბრუნება ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია. საკუთარი თავის იმედი მაქვს და მჯერა, რომ ნაკრებში კვლავაც ვითამაშებ.

**დავით თაგართქილაძე**

# მათე ბიჭს ტრავმა აცდენს
## ეროვნული ნაკრების შანსს ბოლომდე ჩავეჭიდები

მათე ღვინიანიძე ახალი თაობის ერთ-ერთ პერსპექტიულ ქართველ მცველად ითვლება. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამორჩეული იყო, ყაზახეთში კი გაიოზ დარსაძემ ეროვნულ გუნდთან ავარჯიშა და სამატჩო განაცხადშიც შეიყვანა.

„კარგად მოვემზადე და საუკრაინო-სადანიო თამაშებისთვისაც გამოგვადგები“ — ასე უთხრა ალმათური მატჩის შემდეგ დარსაძემ 18 წლის ღვინიანიძეს. თუმცა მათე ახლა ტრავმირებულია და ოპერაცია სჭირდება — დიაგნოზი ასეთია: ფეხის ძვლის მოტეხილობა.

ახალგაზრდა მცველს მოსკოვში რომ დავუკავშირდით, გვითხრა, ექიმების გათვლით, დაახლოებით სამ-ოთხ კვირაში დავიწყებ ძუნძულს, ხოლო თამაშს როდის შევძლებ, ჯერ არ ვიციო.

„ფეხში ლითონის სამაგრები ჩამისვეს და სადღაც 20 დღეში ამომიღებენ. ძვალს შეხორცება სჭირდება, ვარაუდით, განსაკუთრებულად საშიში ტრავმა არ უნდა აღმოჩნდეს და მაინცდამაინც დიდი ხანიც არ გამიცდება. ყაზახეთში ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩის ბოლო ათ წუთში ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ მეორე დღეს გამიარა, ხოლო „ლოკომოტივში“ რომ ჩამოვედი, ვარჯიშზე ფეხმა ძალიან შემაწუხა და ეგრევე საავადმყოფოში წასვლამ მომიწია“.

მათე ყაზახეთთან თამაშზეც გველაპარაკა, მსაჯმა რამდენჯერმე დაგვჩაგრა, თუმცა ბოლომდე ვიბრძოლეთ და სწორედ ამან მოგვაგებინაო. „ლოკომოტივის“ მცველმა თქვა, ძალიან მინდა, ოქტომბერში ყაზახეთთან და საბერძნეთთან ვითამაშო, მაგრამ ტრავმა თუ გამიშვებს, ეგ რა ვიციო.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებში შესაძლო გამოძახებას: „ყაზახეთის მერე მიმანიშნეს, შემდეგი ამხანაგური თამაშისას ახალგაზრდულში ერთ ტაიმს გათამაშებთ, მეორე დღეს კი შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებშიც გამოგვადგეო. ვიცი, ეროვნულის ძირითადში ადგილის დამკვიდრება ჯერ გამიჭირდება, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, შანსს ბოლომდე ჩავეჭიდო. უდროო დროს მივიღე ტრავმა, თორემ კარგ ფორმაში ვიყავი. სხვანაირად გამორიცხულია, „ლოკომოტივში“ ისეთი ვარჯიშებია, ფორმას მუდმივად შეინარჩუნებ“.

ერთი სიტყვით, ოპერაციამ მათეს „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობიდან ძირითადში გადასვლა გადაუვადა, თუმცა ივი ჩამპიონატში უკვე იყო რკინიგზელთა მთავარ გუნდში, დუბლებში კი ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

**ილია ნანობაშვილი**



# ჩემმა ნაკრებმა ჩაიარა
## აკაკი დევაძე: ტანჯვა დამთავრდა, ბურთთან ვარ



საქართველო — თურქეთის მატჩისას უმძიმესტრავმამიღებულმა აკაკი დევაძემ ვარჯიში გუშინ დაიწყო. გეხსომებათ, კაკოს ილდირაი ბაშთურქთან შეჯახებისას ყვრიმალის ძვალი გაუტყდა და სამსაათიანი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა. მას შემდეგ ხუთ თვეზე მეტი გავიდა და საქართველოს ნაკრების ყოფილ მეკარეს მინდორზე გასვლა მოენატრა.

„დევას“ გუნდი, თბილისის „სპარტაკი“ ჩემპიონატის ცხრილის ბოლოშია და ვინ იცის, გამოცდილი მეკარის დაბრუნების შემდეგ ქულების დაგროვება დაიწყოს.

— ეს უმძიმესი პერიოდი, როგორც იქნა, გადავიტანე. დღეს ვიწყებ ვარჯიშს და ფორმაში რომ შევალ, მერე თამაშსაც შევძლებ.

**— ძალიან დიდი ხანი გაგიცდა. ჩემპიონატის დაწყების წინ გვითხარი, პირველი ან მეორე ტურისთვის უკვე მზად ვიქნებიო.**

— მაინც სარისკო იყო მაშინ თამაში და ექიმმა არ მირჩია. ბურთი რომ მომხვედროდა ყვრიმალში, ცუდად წავიდოდა საქმე.

**— „სპარტაკის“ თამაშებს ნახავდი. ალბათ, გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენა გაუჭირდება.**

— გაგვიჭირდება თუ არა, ამოცანა სწორედ უმაღლესში ადგილის შენარჩუნება იქნება. ფაქტობრივად, ჭაბუკთა გუნდი გვყავს: გამოუცდელები არიან, უმაღლეს ლიგაში პირველად თამაშობენ. იმედია, ნელ-ნელა ალღოს აუღებენ.

**— ახალი ფეხბურთელი ხომ არ დაგმატებიათ?**

— არა, ისევ იგივე ბირთვია.

**— ერთი-ორი თვის წინ გვითხარი, ეროვნულ ნაკრებში თამაშზე ხელი არ ჩამიქნევიაო. ახლაც ასე ფიქრობ?**

— რაღა დროს ჩემი ნაკრებია. მე და ჩემმა თაობამ გასაკეთებელი ასე თუ ისე გავაკეთეთ და სათამაშებელი ვითამაშეთ. ნაკრები გაახალგაზრდავდა და ღმერთმა ხელი მოუმართოს. ოღონდ ახალმა თაობამ კარგად ითამაშოს და ჩემ ნაკრებში მოხვედრას ვჩივი?! ჩემზე დიდი გულშემატკივარი მაგათ არ ეყოლებათ.

**ილია ნანობაშვილი**

# ვუდის სიზმარი ბურთი და მოედანია

„**ახლა** მოედანზე გასვლა და თამაში ისე მინდა, როგორც არასდროს. თითქმის ყოველ ღამეს ერთი და იგივე სიზმარს ვხედავ — მინდორზე მეტოქეებს ბურთისთვის ვებრძვი, ტრიბუნები კი ოვაციებით მამხნევებენ... დღევანდელ ჩემს ცხოვრებას წლების წინ პრემიერლიგაში დებიუტის ეპიზოდს შევადარებდი. ვთვლი, რომ სრულფასოვნად ბურთაობა უკვე შემიძლია, ოღონდ „რეალის“ შემადგენლობაში ჩემი დაყენება მწვრთნელის, ვანდერლეი ლუშემბურგოს საქმეა“ — ეს სიტყვები სამეფო გუნდის ალბიონელ მცველ ჯონათან ვუდგეიტს ეკუთვნის, რომელიც „რეალმა“ ორი სეზონის წინ „არაფრისთვის“ იყიდა და საბრალო ჯონი ტრავმის გამო მთელი ამ ხნის განმავლობაში უქმადაა.

გუშინ ვუდგეიტი „რადიო მარკას“ ესტუმრა და თავის გეგმებზე ესაუბრა. „გული მტკივა, როცა პრესაში ასეთ რალაცეებს ვკითხულობ — „ვუდგეიტი ფეხბურთს აღარ დაუბრუნდება“ ან „ჯონათან ვუდგეიტი დიდი ფეხბურთისთვის გარდაიცვალა“. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ჩემი ოჯახი და ახლობლები ამას როგორ განიცდიან. აუცილებლად ვითამაშებ, თანაც უფრო ადრე, ვიდრე ზოგიერთი ვაი-სპეციალისტი წარმოიდგენს...“ ვუდგეიტს „მარკასთან“ მასლაათში არც მადრიდისა და იქაური ინჩასობის სიყვარული დაუმალავს: „მადრიდი საოცარი ქალაქია, „რეალის“ გულშემატკივრებს კი მსოფლიოში ვერავინ შეედრება. წარმოიდგინეთ, მთელი ორი სეზონი მოედნას არ გავკარებივარ და ხალხი ქუჩაში მაინც მცნობს, მესალმება და მამხნევებს ხოლმე. მზად ვარ, ქომაგებს მადლობა მოედანზე კარგი ბურთაობით გადავუხადო“.

**ლადო ხომერიკი**





ჟოზე მაურინიუ



ალექსეი სმერტინი

# მითი და სინამდვილე

## ჩელსი სინქრონულად დაცურავს

„**ჩელსის**“ მწვრთნელ ჟოზე მაურინიოზე ერთ წელიწადში ათი მითი შეიქმნა, რომლებსაც ყოფილი ჩელსელი, რუსეთის ნაკრების კაპიტანი ალექსეი სმერტინი უარყოფს:

მითი პირველი: მაურინიუ მოგებამ დაღალა და „ჩელსისითან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ ფეხბურთს თავს დაანებებს.

სმერტინი: „ტყუილია. არ დაღლილა, რადგან უსაზღვრო ენერგიის პატრონია და სხვებსაც „ქოქავს“.

მითი მეორე: მაურინიუს ჰყავს სამი ვიზაჟისტი და გარდა ამისა, სათქმელის წინასწარ უწერენ.

სმერტინი: „ნაღდად ჭორია. ემოციური კაცია და იშვიათად, რომ სათქმელი წინასწარ მოამზადოს. საუბრისას ისეთ იუმორს გამოურევდა-ხოლმე, ვარჯიშის შემდეგაც კი ვიცინოდით“.

მითი მესამე: ჟოზე მაურინიუ მატჩისას ფეხბურთელებს ფურცლებზე დაწერილ მითითებებს აწვდის. ზოგჯერ ცარიელ ფურცელსაც გაურევს.

სმერტინი: „მთლად ასე არაა. ხანდახან ცვლილებისას მოედანზე შესულ მოთამაშეს თანაგუნდელთან ბარათს გაატანდა-ხოლმე, რომელშიც ტაქტიკური ცვლილება იყო აღნიშნული. რაც შეეხება ცარიელ ფურცელს, სისულელეა“.

მითი მეოთხე: ჟოზე მაურინიუ ფეხბურთელს მისი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აფასებს.

სმერტინი: „არასწორია. ციფრებს მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის იყენებს და როცა შესაძენ მოთამაშეს ხვდება, ციფრებით არ ელაპარაკება. პირადად მე მისგან მსგავსი რამ არ მსმენია“.

მითი მეხუთე: ჟოზე მაურინიუს, თავს მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნევს.

სმერტინი: „ცხოვრებაში არ მინახავს მასზე უფრო თავდაჯერებული ადამიანი. სხვა მხრივ კი „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მარცხმა ისე დათრგუნა, რომ კარგა ხანს დაღვრემილი დადიოდა“.

მითი მეექვსე: მაურინიუ არასოდეს იგინება და ფეხბურთელებს ამისთვის სჯის.

სმერტინი: „ტყუილია. ყველა მწვრთნელი, ვისთანაც მითამაშია, იგინებოდა. მაურინიუც იგინება, მაგრამ ის ფეხბურთელებს არ შეურაცხყოფს. უფრო ხშირად პორტუგალიურად ილანძღება“.

მითი მეშვიდე: ჟოზე მაურინიუ პრემიერლიგელ მწვრთნელებს ეჯავრებათ მისი კუდაბზიკობისა და აქცენტის გამო.

სმერტინი: „ნებისმიერ მწვრთნელს აქვს უარყოფითი მხარე. ინგლისში ყოველი მატჩისას წინ პრესკონფერენცია იმართება, მაურინიუ კი ენამწარეა, რის გამოც მტრები მოიმრავლა. აქცენტი არაფერ შუაშია“.

მითი მერვე: ჟოზე მაურინიუ თავისი გუნდის ნებისმიერი ფეხბურთელის ოპერაციას ესწრება.

სმერტინი: „გამიგია, რომ „პორტუში“ ყოფნისას დერლეის ოპერაციას დაესწრო, მაგრამ „ჩელსიში“ ასეთი არაფერი ყოფილა. ერთხელ ბრიჯი მოვინახულეთ საავადმყოფოში, ოღონდ ეს ჩვენი ინიციატივით იყო და არა მაურინიუსი“.

მითი მეცხრე: „ჩელსის“ ყველა ფეხბურთელს სახლში მაურინიუს პლაკატი აქვს.

სმერტინი: „არავისთან მინახავს“.

მითი მეათე: „ჩელსის“ ფეხბურთელები ტანსაცმლის შეძენისას რჩევას მაურინიუს ეკითხებიან.

სმერტინი: „სისულელეა. ის არავის ეხმარება ტანსაცმლის ყიდვაში“.

მოვრჩეთ მითოლოგიას და ნამდვილი ვთქვათ. ახალი სეზონიდან „ჩელსის“ ფეხბურთელები ... სინქრონულად ცურვაში ივარჯიშებენ. ასე გადაწყვიტა მაურინიუმ. პორტუგალიელი დარწმუნებულია, რომ ეს ვარჯიში მოთამაშეებს კოორდინაციის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ლონდონელთა ახალ ბაზაზე, რომელიც 20 მილიონი გირვანქა დაჯდა, 25 მეტრი სიგრძის აუზი გააკეთეს, სადაც ფეხბურთელები ჭყუმპალაობენ. ბიჭები თავიდან გაოგნდნენ, ბაზის მომსახურე პერსონალს კი სახითხითო გაუჩნდა, რომლებიც თურმე ჯონ ტერის დასცინიან ტრუსის მწვანეყვითელი ფერის გამო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რომას სიყვარულით დამწვარი კანდელა

## მოლაპარაკებები ჯაჯღანის თანხლებით

„**უდინეზეს**“ ფრანგი მცველი ვენსან კანდელა ამბობს, რომ კვირას, ყოფილ გუნდთან, „რომასთან“ თამაში მისთვის ძალიან უცნაური გამოცდა იქნება.

„როდესაც გასულ იანვარში „რომადან“ ინგლისში, კერძოდ „ბოლტონში“ გადავედი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე დადგებოდა დღე, როდესაც მე „სტადიო ოლიმპიკოზე“ მეტოქის რანგში დავბრუნდებოდი, — ამბობს კანდელა უდინელთა საინტერნეტო ვებგვერდში, შემდეგ კი განმარტავს, — მაგრამ ინგლისში დარჩენამ დიდი ხნით არ მომიწია, რადგან გამოჩნდა „უდინეზე“ და ისეთი პირობები შემომთავაზა, რომ უარი ვერ ვთქვი“

შეგახსენებთ, რომ კანდელა „რომაში“ 1997 წელს „გინგამიდან“ გადავიდა და კლუბის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ჩამოყალიბდა.

„იტალიის ჩემპიონატი მომაჯადოვებელია და ამიტომაც გამომიწია გულმა. აქაურობასთან ხომ ბრწყინვალე მოგ.ნებები მაკავშირებს, რომელთაგან ყველაზე კარგი 2001 წელს სკუდეტოს მოპოვება გახლდათ“ — დასძინა ფრანგმა.

კვირის მატჩი, „რომასა“ და „უდინეზეს“ შორის, იმითაც არის საინტერესო, რომ რომაელთა მწვრთნელი, ლუჩანო სპალეტიც თავის ყოფილ გუნდს უპირისპირდება.

ამასობაში კი „რომას“ უფროსობა ხვალ ანტონიო კასანოს აგენტთან შეხვედრასა და საკონტრაქტო საკითხებზე საუბარს აპირებს. მოგეხსენებათ, რომაელები კასანოს ზაფხულამდე შენახვით 35 მილიონ ევროზე მეტს რისკავენ და ამიტომ მათ ან კონტრაქტის გახანგრძლივება აძლევთ ხელს, ანაც ჭირვეული თავდამსხმელის საახალწლოდ გაყიდვა. ამბობენ, რომ ვინაიდან კასანოს „იუვენტუსში“ გადასვლის ამბავი არა და არ გამოვიდა, „რომა“ უმალ შერიგებისა და მისი ნიჭის სასარგებლო რელსებზე შეყენების პოლიტიკას ამჯობინებსო. კულუარული ხმებით, ხვალ კლუბის შეფები აგენტ ჯუზეპე ბოცოს ხუთწლიან კონტრაქტზე დაელაპარაკებიან წლიურ 5 მილიონამდე ჯამაგირის შეთავაზებით, თუმცა იმავე ხმათა მიხედვით, ფორვარდს თავისთვის მისაღებ ხელფასად ორი მილიონით მეტი მიაჩნია.

„რომას“ წარმომადგენელმა, წარსულში ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა ბრუნო კონტიმ განაცხადა, რომ სწამს, ანტონიო კლუბში თავის ადგილს ხელახლა იპოვნის და ყველაფერი კარგად აეწყობა.

**პაპუნა კედია**

# პარმას ბებერი გაახსენდა



ფერნანდო კოუტუ იტალიაში ბრუნდება

**დღეს** პორტუგალიელი ვეტერანი ფერნანდო კოუტუ „პარმას" ექიმთა ხელში აღმოჩნდება და თუ ჯანმრთელი იქნა, კლუბთან კონტრაქტსაც გააფორმებს. იკითხავთ, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა ხომ დახურულიაო და მართალიც იქნებიც — დახურულია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ კოუტუ ამჟამად დაუსაქმებელია და გუნდში ჩარიცხვის უფლებაც ამიტომ აქვს, სხვა კლუბიდან კი ვერ გადავიდოდა.

გავიხსენოთ, რომ პორტუგალიელი მცველი 36 წლისაა, ბოლოს კი რომის „ლაციოში" თამაშობდა, საიდანაც ამ ზაფხულში ექვსწლიანი სამსახურის მერე წავიდა. ბოლო თვეები კოუტუ სამშობლოში იყო, სანამ „პარმას" გაახსენდებოდა.

შეგვიძლია ისიც გავიხსენოთ, რომ კოუტუ 1992-94 წლებში უკვე თამაშობდა „პარმაში", საიდანაც „ბარსელონამ" გადაიყვანა.

„ბარსელონას" ხსენებაზე — „პარმას" ახლანდელი მეპატრონე კატალონიელითა დაუძინებელი მტრის, მადრიდის „რეალის" ყოფილი პრეზიდენტი ლორენსო სანსი გახლავთ.

ერთი სიტყვით, დღევანდელი სამედიცინო შემოწმების მერე „პარმა" და კოუტუ ხელი-ხელს დაჰკრავენ და კონტრაქტის პირობებიც ამის მერელა გაცხადდება. სხვა პარმელი ამბავი კი ის არის, რომ მათი საამზაფხულო შენაძენი ფერდინანდ კოლი კვირას „კიევოს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, რადგან რაღაც ბიუროკრატიული დაბრკოლებები აჩერებს.

ბოლოს ორ აპენინურ ამბავზეც ვთქვათ, რაც „პარმასთან" და კოუტუსთან კავშირში არ არის — „მესინას" მცველმა ალესანდრო პარისიმ კოჭი მძიმედ დაიშავა და ფეხბურთს ორი თვით ჩამოშორდა. იგივე პერიოდით მოუწევს დასვენება რეჯინელ როლანდო ბიანკისაც, იგი იტალიისა და შოტლანდიის ნაკრებების ახალგაზრდულ მატჩში დაშავდა.

**ქოთე ქექელია**

# ბილბაო მეკარეების გარეშე დარჩა



ხოსე ლუის მენდილიბარი

**ხოსე ლუის მენდილიბარის** „ბილბაოს" კვირას მადრიდულ „ხეტაფესთან" ფრიად რთული მატჩი ექნება. საქმე ის გახლავთ, რომ ბასკურმა კლუბმა ერთი კვირის მანძილზე ტრავმების გამო სამივე მეკარე დაკარგა და სენიორ მენდილიბარის საქმესაც დალაგებულს და უშფოთველს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

„ასეთი რამ ალბათ ათასში ერთხელ ხდება და რაღა ჩემს გუნდს უნდა დაემართოს. ყოველი შემთხვევისთვის „ბილბაოს" 21-წლამდელთა გოლკიპერი, იგორ ეჩებერია მოვიწვიე, რათა ევარჯიშა და საკვირაო მატჩისთვის მზად ყოფილიყო" — განაცხადა თავზარდაცემულმა თავკაცმა მადრიდულ „ასთან" საუბარში.

„ბილბაოს" მდგომარეობა მართლაც სავალალოა. გუშინწინ ინაკი ლაფუენტე ვარჯისისას უხერხულად დაეცა და მარჯვენა ფეხი იტკინა. ექიმთა გადაწყვეტილებით, ნაკლებად მოსალოდნელია, ინაკიმ 11 სექტემბერს „ხეტაფესთან" თამაში მოახერხოს. დანარჩენი ორი გოლკიპერი, არანსუბია და ესკალონა, ხელების ტრავმას უჩივიან — ერთი მარცხენას, მეორე მარჯვენას. ასე რომ, რა გამოდის, ბეჩავ „ბილბაოს" ფეხიც სტკივა და ორთავე ხელიც...

„ჩვენი ძირითადი იმედი მაინც არანსუბიაა. ის სხვებზე ნაკლებად არის დაშავებული. თუ დანიელმა თამაში ვერ შეძლო, ისევ იგორ ეჩებერიას უნდა ვენდოთ" — თქვა ხოსე ლუის მენდილიბარმა.

სრულიად ბასკეთის კარიბჭე ახლა ყმაწვილ იგორზეა დამოკიდებული.

**ლადო ხომერიკი**

# მარკო დი ვაიო ვალენსიაში საომრად დარჩენილა

**ექსიუვენტუსელი** მარკო დი ვაიო ბურთაობას ამ სეზონშიც ესპანურ „ვალენსიაში" გააგრძელებს. აპენინელის სამშობლოში დაბრუნების შესახებ ამ ზაფხულს ბევრი დაიწერა მედიაში, თუმცა დი ვაიომ საბოლოოდ ისევ „მესტალიაზე" დარჩენა ამჯობინა.

„ვალენსიადან წასვლა-არწასვლის ამბავს კარგა ხანს ვერ ვწყვეტდი. გულახდილად გეტყვით, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრეც არაფერი ვიცოდი ჩემი სამომავლო სარბიელის შესახებ, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ჩავთვალე, რომ ისევ ესპანეთში დარჩენა ხელსაყრელი იქნებოდა" — აღნიშნა ფეხბურთელმა ესპანურ „მარკასთან" საუბრისას. დი ვაიო „მესტალიაზე" თავისი კარიერის არცთუ დალხინებულ პერიოდს გადის — ესპანეთს ჩემპიონატის პირველ ტურის იტალიელი ტრიბუნიდან უცქერდა, თუმცა დარწმუნებულია, რომ მალე ახალი მწვრთნელის, კიკე სანჩეს ფლორესის ნდობას დაიმსახურებს.

მარკო დი ვაიო: „გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად ომისთვის მზად გახლავართ. ეს წელი ძალიან ცუდი იყო, მაგრამ ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებ. ვიცი, რომ მალე სიტუაცია ჩემს სასარგებლოდ შეიცვლება".



მარკო დი ვაიო

**ლადო ხომერიკი**



მარიო ზაგალომ რობინიოს გადამეტებული ქებისგან თავი შეიკავა

# მარიო ზაგალო: რობინიო ჯერ პატარაა

**ესპანურ** პრიმერადივიზიონში „კადის" — „რეალის" მატჩის მერე მადრიდელთა ფანტასტიკურ ახალწვეულზე, ბრაზილიელ რობინიოზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. ბევრის მტკიცებით „სანტიაგო ბერნაბეუს" ნორჩი ათიანი მალე თავის თანამემამულეს, „ბარსელონას" ჩაუქ რონალდინიოსაც დაჩრდილავს. თუმც ფეხბურთელების სამშობლოში რობინიოს პირველკაცობას ჯერჯერობით ეჭვით უყურებენ.

„რობინიოს ჯერ ბევრი შრომა მართებს, სანამ რონის დონეს მიაღწევდეს. ორივე ბრწყინვალე ფეხბურთელია, ნიჭი, მებრძოლი ხასიათი და ტექნიკა არ აკლიათ, თუმც რეალელს ჯერ იმდენი გამოცდილება არა აქვს" — განაცხადა გუშინ ლეგენდარულმა მარიო „ლობო" ზაგალომ ჟურნალისტებთან საუბარში.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის თანაშემწის აზრით „სანტიაგო ბერნაბეუს" ფორვარდის ბარსელონელთან შედარება იმიტომაც არ შეიძლება, რომ მადრიდულ და კატალონიურ გუნდებს შორის დიდი განსხვავებაა.

„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რობინიოს „ბერნაბეუზე" ზიდანი, რონალდო, რაული, ბაპტისტა და ბექემი დაეხმარებიან, რონალდინიოს კი „ბარსაში" მსგავსი გალაქტიკური მხარდაჭერა არ ჰქონია. მან „ნოუ კამპზე" თავის პირველ სეზონში გუნდის მეორე ადგილზე გაყვანა თითქმის მარტომ შეძლო" — უთხრა ზაგალომ ბრაზილიურ — „ა ბოლას".

**ლადო ხომერიკი**

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

ფინეთი 2:0 მაკედონია
ჩეხეთი 6:0 სომხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 13:5 | 17 |
| ჩეხეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 21:3 | 18 |
| რუმინეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:8 | 16 |
| მაკედონია | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | 9 |
| ფინეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:12 | 7 |
| სომხეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 2:25 | 5 |

### II ჯგუფი

დანია 1:0 საქართველო
უკრაინა 0:0 თურქეთი
ყაზახეთი 1:2 საბერძნეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 10 | 8 | 1 | 1 | 27:10 | 25 |
| უკრაინა | 11 | 6 | 2 | 3 | 17:7 | 20 |
| თურქეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:8 | 18 |
| საბერძნეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:7 | 17 |
| საქართველო | 10 | 3 | 2 | 5 | 7:18 | 11 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:21 | 8 |
| ყაზახეთი | 10 | 1 | 0 | 9 | 6:18 | 3 |

### III ჯგუფი

რუსეთი 0:1 პორტუგალია
ლატვია 0:0 სლოვაკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 9 | 9 | 0 | 0 | 26:3 | 27 |
| რუსეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 21:5 | 16 |
| სლოვაკეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:8 | 13 |
| ლატვია | 9 | 3 | 3 | 3 | 10:13 | 12 |
| ესტონეთი | 8 | 0 | 2 | 6 | 2:21 | 2 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | 1 |

### IV ჯგუფი

ირლანდია 1:2 საფრანგეთი
კვიპროსი 1:5 შვეიცარია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:7 | 15 |
| საფრანგეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:5 | 13 |
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 14:5 | 12 |
| ირლანდია | 6 | 1 | 1 | 4 | 9:12 | 4 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:14 | 0 |

### V ჯგუფი

ბელარუსი 1:1 იტალია
ნორვეგია 0:1 შოტლანდია
მოლდოვა 1:3 სლოვენია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 5 | 2 | 1 | 13:5 | 17 |
| ნორვეგია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| ბელარუსი | 8 | 3 | 1 | 4 | 15:14 | 10 |
| სლოვენია | 8 | 3 | 3 | 2 | 10:12 | 12 |
| მოლდოვა | 8 | 2 | 2 | 4 | 6:10 | 8 |
| შოტლანდია | 8 | 1 | 4 | 3 | 6:10 | 7 |

### VI ჯგუფი

პოლონეთი 3:2 უელსი
აზერბაიჯანი 0:0 ავსტრია
გერმანია 1:1 ინგლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 5 | 3 | 0 | 17:5 | 18 |
| ინგლისი | 8 | 5 | 3 | 0 | 16:4 | 18 |
| პოლონეთი | 9 | 3 | 4 | 2 | 17:14 | 13 |
| ავსტრია | 8 | 2 | 2 | 4 | 7:10 | 8 |
| უელსი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:17 | 7 |
| აზერბაიჯანი | 9 | 0 | 3 | 6 | 1:14 | 3 |

### VII ჯგუფი

ესპანეთი 2:0 სერბეთი
ლიტვა 1:0 ბოსნია
ბელგია 5:0 სან მარინო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 8 | 5 | 3 | 0 | 22:5 | 18 |
| ესპანეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 27:6 | 17 |
| სერბეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 22:10 | 16 |
| ლიტვა | 8 | 3 | 1 | 4 | 8:12 | 10 |
| ბოსნია | 8 | 2 | 1 | 5 | 11:14 | 7 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 2:45 | 0 |

### VIII ჯგუფი

მალტა 0:1 ხორვატია
ბულგარეთი 1:3 ისლანდია
უნგრეთი 0:1 შვედეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 8 | 7 | 0 | 1 | 11:4 | 21 |
| შვედეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 15:7 | 18 |
| უნგრეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 8:4 | 15 |
| ისლანდია | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 10 |
| ბულგარეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:14 | 6 |
| მალტა | 9 | 1 | 1 | 7 | 2:15 | 4 |

# ის არ არის ლიდერი

*ამ ინტერვიუს თარგმნისას, ბუნებრივია, ირლანდიისა და საფრანგეთის თამაშის შედეგი არ ვიცოდით, ასე, რომ ქვემორე კითხვა-პასუხის დღევანდელი ჟღერადობა გუშინდელთან შედარებით უთუოდ სხვაა, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, როდესაც ზინედინ ზიდანთანაა საუბარი, ინტერვიუ უკვე საინტერესოა. თემა: დიდი ვარსკვლავის ნაკრებში დაბრუნება*



**— რა გრძნობა დაგეუფლათ, საფრანგეთის ნაკრებს რომ დაუბრუნდით?**

— ბედნიერი ვარ. ძველ მეგობრებთან შეხვედრის საშუალებაც მომეცა. რა თქმა უნდა გუნდში დამხვდნენ ახალი მოთამაშეებიც, რომელთაც ჯერ კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ყველა გულთბილად შემხვდა და ამან გამახარა.

**— რომელიმე ახალგაზრდამ თქვენს დანახვაზე ხომ არ დაიმორცხვა ან სხვა რამ უხერხულობა ხომ არ ყოფილა?**

— არა. ეს ფეხბურთელები შესაძლოა სანაკრებო დონეზე დიდად გამოცდილები არ არიან, მაგრამ საკლუბო ფეხბურთში საკმაოდ ფეხმოკიდებული ხალხია და კარგად თამაშობენ.

**— თავად ხომ არ გძნობთ თავს ახალ წევრად?**

— არა, არც ისე დიდი ხანია გასული მას მერე, რაც ნაკრებიდან წავედი და საფრანგეთის გუნდთან დაკავშირებული განცდები და მოგონებები ჯერ კიდევ ცოცხალია. ჩემთვის ეს უფრო თავგადასავლის გაგრძელებაა. ხომ გითხარით, ბევრი ახალი სახეა, მაგრამ ბევრიც ის ფეხბურთელია, რომელთაც ევრო 2004-ში მიიღეს მონაწილეობა.

**— როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება ნაკრებში დაბრუნების შესახებ?**

— მართალია მწვრთნელს ორჯერ თუ სამჯერ შევხვდი და ველაპარაკე, მაგრამ მთავარი მაინც ჩემი გადაწყვეტილება გახლდათ. რაც შეეხება მწვრთნელთან საუბარს, ეს თუნდაც იმიტომ იყო აუცილებელი, რომ გამეგო ვჭირდებოდი თუ არა. როდესაც დომენეკმა მითხრა, რომ ვჭირდებოდი, მერე ყველაფერი გამარტივდა, უნდა მეთქვა ჰო ან არა.

**— გრძნობდით, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანას ხალხი თქვენ მოგთხოვდათ?**

— განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტვირთი არ მიგრძვნია. რისკის შესახებ ცხადია ნაფიქრი მქონდა, მაგრამ წავების შიში რომ მქონოდეს, აქამდე [illegible] თავს დავანებებდი. [illegible] ნება იყო იმის დანახვა, რამდენ ადამიანს გაუხარდა ჩემი ნაკრებში დაბრუნება.

**— კაპიტნობაზე რაღას იტყვით?**

— არც ეს არის ჩემთვის რაიმე ახალი. ჟაკ სანტინის დროს მიკაპიტნია. ამ საკითხზეც ვესაუბრე მწვრთნელსა და ყოფილ კაპიტანს პატრიკ ვიეირას და ერთად გადავწყვიტეთ, რომ ასე უმჯობესი იქნებოდა. მართალია, კარგი ლიდერი ის არის, ვინც ლაპარაკობს, მე კი ჩუმი ადამიანი გახლავართ და თანაგუნდელების დარიგებაც არ არის ჩემი საქმე, მოკლედ, ვფიქრობ ბუნებით წინამძღოლი არ გახლავართ, მაგრამ ერთი კია, სოფლის[illegible]ლიდან ვცდილობ სხვებისთვის კარგი მაგალითი ვიყო და ამას ალბათ რაღაც გავაკეთებ. ცხადია მასზე მოიწევს ისეთი მნიშვნელოვანი თემებზე საუბარი, როგორიც ტაქტიკაა, მაგრამ მწვრთნელის საქმეში ცხვირს ნამდვილად არ ჩავყოფ.

# მანიშემ რუსეთი და დინამო ვერ აიტანა



**როგორც ჩანს**, პორტუგალიელი მანიშე თავისი კარიერის რუსულ ეტაპს წერტილს მალე დაუსვამს. მოსკოვის „დინამოს“ ნახევარმცველი ამას წინათ თანამემამულე მედიას გაესაუბრა და აღნიშნა, რომ ჩრდილოეთში მეტხანს გაჩერება აღარ შეუძლია.

„რუსეთის დედაქალაქში ძალიან უბედურად ვგრძნობ თავს და მინდა, აქაურობა რაც შეიძლება მალე დავტოვო. მოსკოვი არც მე მომწონს და არც ჩემი ოჯახის წევრებს. ქვეყანაც ცუდია, ამინდიც და საერთოდ ყველაფერიც“ — განაცხადა ფეხბურთელმა „ა ბოლასთან“ ინტერვიუში.

მანიშეს ანტირუსულმა გულახდილობამ ბევრი გააცოა, რადგა მოელოდნენ, რომ ლუზიტანი მოსკოვის „დინამოში“ დიდხანს დარჩებოდა და იქაური პრემიერლიგის ვარსკვლავი გახდებოდა.

„აქ რაღაცნაირი, მკვდარი ატმოსფეროა, რუსეთის ჩემპიონატსაც მიმზიდველს ვერაფრით ვუწოდებ. ადგილობრივი პრესა უცხოელი ფეხბურთელების მიმართ უარყოფითად არის განწყობილი. ეტყობა, ეს ყველაფერი ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარეობს... რუსეთში ხომ ხალხი უახლოეს წარსულში გაუმართლებელ აკრძალვებს და გაჭირვებას იტანდა. ჯანსაღი კონკურენცია რა არის, ვერ გაუგიათ“ — ამბობს მანიშე.

პორტუგალიელის თქმით, რუსთა ლიგაში ცოტა თუა ფეხბურთელი, რომელიც უცხოეთიდან მოსულ ლეგიონერებს კეთილი თვალით უყურებს: „აქაური მობურთალებისთვის ფულზე დახარბებული ავანტიურისტები ვართ და მეტი არაფერი“.

მანიშემ პრესას ისიც გაუმხილა, რომ „დინამოს“ თავკაცებმა მისი რუსეთიდან წასვლის სურვილის შესახებ უკვე ყველაფერი იციან. ამგვარად, მოსკოვური კლუბის მეპატრონის ალექსეი ფედორიჩევის ინიციატივამ „დინამოში“ პორტუგალიელთა მასიური ჩამოსახლების შესახებ“ პირველი სერიოზული დარტყმა განიცადა — მანიშეს ხომ კოშტინიასთან ერთად თეთრ-ცისფერებისთვის ძველი დიდება უნდა დაებრუნებინა.

რაც შეეხება მანიშეს ლვიძლ ძმას, ჟორჟე რიბეიროს, აქ საქმე სხვაგვარად გახლავთ. ახალგაზრდა მობურთალი არა მარტო რუსეთს და მის „მკვდარ ატმოსფეროს“ შეეგუა, არამედ „დინამოში“ მოსვლიდან მცირე ხანში გუნდში ჭეშმარიტი ლიდერის სახელიც დაიგდო. ჩრდილოურ ლიგასთან ადაპტირებას ასე თუ ისე კოშტინიაც ახერხებს. აი, მანიშე კი...

**ლადო ხომერიკი**



ზლატან იბრაჰიმოვიჩი



ფაბიო კაპელო

# დაარტყი, გაიტანე!
## ისწავლეთ ვან ბასტენისგან

**განთქმულმა** იტალიელმა ტაქტიკოსმა ფაბიო კაპელომ თქვა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი დღეს ხვალ ახალ მარკო ვან ბასტენად იქცევაო. უნდა ვაღიაროთ, რომ მონდომებული კაცი ჰოლანდიელ და შვედ ფორვარდებს შორის მსგავსებებს შეამჩნევს და ამდენად, კაპელოს მოსაზრება არცთუ უსაფუძვლოა. ეგეც რომ არა, კაპელოს დონის სპეციალისტისგან გაგონილი ნებისმიერი მოსაზრება, ვფიქრობთ, ყურადსაღები უნდა იყოს.

— როცა მონდომებული და ნიჭიერი ფეხბურთელი დიდი წინამორბედის თამაშებს უყურებს და არჩევს, ყოველთვის შეუძლია მისგან რაღაც ისწავლოს — თქვა კაპელომ — ვაკვირდები და ვამჩნევ, რომ ზლატანმა უკვე ბევრი რამ გადაიღო მარკოსგან. უპირველესად ის, რომ ცდილობს, ძალიან ხშირად არტყას კარში და მაინცდამაინც იდეალურ დასარტყმელ პოზიციას არ არჩევს. ვან ბასტენს ძალიან ბევრი გოლი გაჰქონდა. რა თქმა უნდა, მათ შორის იყო ისეთი გოლებიც, მის ადგილს სხვებიც რომ გაიტანდნენ, მაგრამ ამის გარდა, მარკო ისეთი პოზიციებიდანაც ურტყამდა, სხვა ფორვარდები თამაშის სხვანაირ გაგრძელებაზე რომ დაიწყებდნენ ფიქრს. მოკლედ, იგი ნებისმიერი ადგილიდან ურტყამდა და ასე გოლის გატანის მეტი შანსიც გაქვს. სწორედ ასე იქცევა ზლატანიც. დააკვირდით, თუ ადრე მას, როგორც წესი, ბურთები ახლო მანძილიდან გაჰქონდა, ბოლო ხანს კი შორიდან გატანასაც უხშირა. მწამს, ის დიდი მეგოლე იქნება.

**ირაკლი ნინიძე**



# თამაშის ჩემი წესები




პიერლუიჯი კოლინა თავისი საქმის პელეც იყო და მარადონაც. იყოო, ვამბობთ, რადგან სადღეისოდ უცნობია, კვლავაც გამოჩნდება თუ არა მისი სარკე-თავი მოედანზე. 45 წლის არბიტრს მსაჯობის ვიზა ამ ზაფხულს ერთი სეზონით გაუგრძელეს. მან „ვილიარეალი"—„ევერტონის" მატჩიც განსაჯა და სერია A-შიც უნდა ესტვინა, თუმც „ოპელთან" კონტრაქტმა სასტვენი ნაცარში ჩაუგდო. რაკი „მილანიც" ოპელელია, იტალიელ არბიტრთა შეფმა კოლინას სერია A-ში მსაჯობის უფლება ჩამოართვა.

განაწყენებულმა კოლინამ ბუცები, ტრუს-მაისურა და სასტვენი ლურსმანზე ჩამოკიდა. მას ინგლისიდან, გერმანიიდან და იაპონიიდანაც დაუკავშირდნენ, ჩვენთან მობრძანდით, უსტვინეთ რამდენიც გენებოთო, მაგრამ ყველაზე პოპულარულმა მსაჯმა პირში ჰაერი ჩაიგუბა და ჯერჯერობით ისვენებს. სანამ კოლინა რამეს მოიფიქრებს, ჩვენ გთავაზობთ მისი წიგნის „თამაშის ჩემი წესები" შემოკლებულ ვერსიას, რომელსაც „სარბიელში" ხუთშაბათობით იხილავთ.



## მსოფლიოს ჩემპიონატი და ვიარეჯო

**2002 წლის** ივნისს და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს როცა თვალდახუჭული ვიხსენებ, ეჭვი მეპარება, რომ ეს ნამდვილად მოხდა. ნუთუ ნაღდად გავატარე იაპონიაში 41 დღე? მართლა ვიმსაჯე თუ არა ფინალური მატჩი ბრაზილია-გერმანია? არარეალურობის უცნაური გრძნობა მეუფლება.

იაპონიაში გატარებული დღეები იმდენად სასიამოვნო, შეიძლება ითქვას, იდეალური იყო, რომ ზოგჯერ სიზმარში ნანახი მგონია. საბედნიეროდ, არსებობს ვიდეოკასეტები და საგაზეთო სტატიები, რომლებიც ადასტურებენ, რომ კორეა-იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. იმ დღეების სცენარის ხელახლა დაწერა რომ მთხოვონ, მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდს შევცვლიდი. ფინალურ მატჩს მშობლიურ ვიარეჯოში გადავიტანდი. ზოგიერთ სცენას ბუნებაში გადავიღებდი. ამ ფილმის რეჟისორი მე რომ ვყოფილიყავი, ჩემი სახლიდან 18 ათასი კილომეტრის დაშორებით არ აღმოვჩნდებოდი.

## გამგზავრების პუნქტი

**როგორც** ჩანს, მე ფილმის რეჟისორი კი არა, ავტორი ვარ. ვერ უარვყოფ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მსაჯობა ჩემი ცხოვრების ჯერჯერობით უმთავრესი მომენტი იყო. ბევრი ფიქრობს, რომ ასეთი მიღწევის შემდეგ ლამაზად წასვლა ჯობს, რათა მომავალში კარგად გაგიხსენონ, მაგრამ ძალიან მომწონს საქმე, რომელსაც ვაკეთებ, ამიტომ მუშაობის გაგრძელება მსურს. ჩემი მხრიდან სისულელე იქნებოდა, ფინალურ მატჩში მსაჯობის ფაქტი სათანადოდ არ შემეფასებინა, რადგან ასეთი ისტორიაში მხოლოდ 16 იყო. ეს ხომ ნებისმიერი მსაჯის ოცნებაა.

ის დღე, როცა ვიგრძნობ რომ მწვერვალს მივაღწიე, ჩემი მსაჯობის ბოლო დღე იქნება, ახლა კი 43 წლის ვარ და კიდევ, წესის თანახმად, „პენსიამდე" ორი წელი დამრჩა. მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატი 2006-ში გაიმართება. იმ დროისთვის 46-ის ვიქნები, ეს კი ოფიციალური დადასტურებაა იმისა, რომ 2002 წლის ფინალი ჩემთვის ბოლო იყო, რაც თავისთავად გულდასაწყვეტია. არადა, კიდევ ერთ ჩემპიონატზე დიდი სიამოვნებით ვიმსაჯებდი.

რეჟისორობანას თამაშს დავუბრუნდები და გეტყვით, რომ სხვა წესებით თამაშს ვისურვებდი. გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, ასაკს ყურადღებას თუ არ მიაქცევდნენ და 45-ს გადაცილებული არბიტრებსაც მსაჯობის უფლებას მისცემდნენ. ბევრი ფეხბურთელი ვიცი, რომლებმაც ჯილდოები „საპენსიო" ასაკში მოიგეს. დინო ძოფი 40 წლის იყო, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა. 37 წლის გარი მაკალისტერმა „ლივერპულში" უეფას თასი მოიგო და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს. წარმოიდგინეთ, მათ შემთხვევაში ასაკი ლიმიტირებული რომ ყოფილიყო... ვფიქრობ, რომ ასე უნდა იყოს მსაჯობაშიც. თუკი კაცი ჯანზეა, სირბილი შეუძლია და თვალიც უჭრის, ასაკის გამო არბიტრობა არ უნდა აუკრძალო, ეს დიდი ცოდვაა.

## მსოფლიოს თასიდან იტალიის თასამდე

**2002 წლის** მუნდიალის ფინალის შემდეგ ახალ სეზონში, იტალიის თასის მატჩში მსაჯობამ მომიწია. მეგობარმა მითხრა, ბრაზილია-გერმანიის მერე „სამპდორია" — „სიენას" მსაჯობაზე როგორ დათანხმდიო. ვუპასუხე, რომ ჩემი საქმის კარგად კეთება მსიამოვნებს-მეთქი.

## მატჩის წინა დღეები

**რა** თქმა უნდა, არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი სხვებს ჰგავს. ნებისმიერი თამაშში მაქსიმალური ყურადღებაა. საჭირო, მაგრამ ფინალის წინ განსაკუთრებით უნდა მოემზადო.

ყოველთვის ვცდილობ, კარგად გამოვიძინო და შეძლებისდაგვარად მატჩის დღესაც ერთ საათს წავუძინებ ხოლმე. ასეთი დღეები ერთმანეთს ჰგავს.

იაპონიაში გამგზავრებამდე მკითხეს, რას ელით მომავალი ჩემპიონატისგანო. ვუთხარი, რომ შეუძლებელია, არბიტრი რამეს ელოდოს, რადგან მისი როლი ამის საშუალებას არ იძლევა. წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. მაგალითად, ევრო 2000-ზე კარგად ვიმსაჯე, მაგრამ იტალიამ ფინალამდე იარა და მთავარი მატჩის მიღმა დავრჩი.

## მსოფლიოს (1998) და ევროპის (2000) ჩემპიონატები

**საკმაო** პოპულარობის მიუხედავად, საფრანგეთში ჯერ კიდევ ახალბედა მსაჯად ვითვლებოდი. კიმ მილტონ ნილსენი, გარსია არანდა და ჰიუ დალასი ჩემზე გაცილებით გამოცდილები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ორი საკმაოდ პრესტიჟული მატჩი მანდეს: ბელგია-ჰოლანდია და დანია-საფრანგეთი. მეოთხედფინალში იტალიის გასვლის შემდეგ მე და ის მსაჯები, რომელთა ქვეყნების ნაკრებებიც მეოთხედფინალში აღმოჩნდნენ, ჩემპიონატიდან დაგვითხოვეს. ეს წესია, მაგრამ მაინც გული დამწყდა, რომ შინნაადრევად დაბრუნება მომიხდა.

ევრო 2002-ზე უკვე სახელიან არბიტრთა რიცხვში ვიყავი. ჰოლანდია-ჩეხეთი, გერმანია-ინგლისი და მეოთხედფინალური საფრანგეთი-ესპანეთი ვიმსაჯე. იტალია ნახევარფინალში გავიდა და ჩემპიონატს კვლავ გამოვეთიშე.

## კორეა-იაპონია

**აზიაში** ჩემი პირველი მატჩი იყო ინგლისი-არგენტინა, რომელზეც ჯერ კიდევ ექვსი თვით ადრე, დეკემბერში ვიცნებობდი, როცა მსაჯთა ბრიგადების ჩამოყალიბება დაიწყეს. ჩემი დანიშვნა რომ გადაწყდა, სიხარულს ვერ ვმალავდი. თამაშის წინა დღეს კი მივხვდი, — ეს დიდი პასუხისმგებლობაა. რამე რომ შემშლოდა, ფინალს ალარავინ მანდობდა.

*გაგრძელება შემდეგ ხუთშაბათს*

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 1 | მანჩესტერი-სიტი | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| 18:00 | 2 | ჩელსი-სანდერლენდი | 1.15 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.53 |
| 18:00 | 3 | ევერტონი-პორტსმუთი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 18:00 | 4 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 5 | ნიუკასლი-ფულემი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 18:00 | 6 | ტოტენჰემი-ლივერპული | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 7 | ვესტ ბრომვიჩი-უიგანი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 20:15 | 8 | მიდლსბრო-არსენალი | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |

**11 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 9 | ბოლტონი-ბლექბერნი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |

**12 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 10 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

**10 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 11 | ნორვიჩი-პლიმუთი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 12 | შეფილდი-იფსვიჩი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 18:00 | 13 | საუთჰემპტონი-ქპრ | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 14 | სტოკი-უოტფორდი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 15 | ბარნლი-კარდიფი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 16 | ქოვენთრი-რედინგი | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 17 | კრისტალ პალასი-პალი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 18:00 | 18 | ლიდსი-ბრაიტონი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 18:00 | 19 | ლესტერი-უენსდი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 20 | ლუტონი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 21 | მილუოლი-პრესტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |

**11 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 22 | ქრიუ-დერბი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |

### ინგლისი. I ლიგა

**9 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 23 | ტრანმერი-ბრედფორდი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |

**10 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 24 | იოვილი-უოლსოლი | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 | 25 | ბარნსლი-ნოტინგემი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 26 | ბლეკპული-ჰარტლპული | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 27 | ბრენტფორდი-დონსი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 18:00 | 28 | ჩესტერფილდი-ბორნმუთი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 29 | კოლჩესტერი-დონკასტერი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 30 | ოლდემი-ჰადერსფილდი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 31 | როტერჰემი-ჯილინგემი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.31 | 1.24 | 1.52 |
| 18:00 | 32 | სკანთორპი-პორტ ვეილი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 33 | სუონსი-ბრისტოლი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 34 | სუინდონი-საუთენდი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |

### ინგლისი. II ლიგა

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 36 | ბარნეტი-ლეიტონი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 37 | ბოსტონი-როჩდეილი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 38 | როვერსი-ლინკოლნი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 39 | კარლაილი-მაკლსფილდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 40 | მენსფილდი-დარლინგტონი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 18:00 | 41 | ნორთჰემპტონი-ბერი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 18:00 | 42 | ნოტსი-ჩესტერი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 43 | ოქსფორდი-რაშდენი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 44 | პიტერბრო-გრიმსბი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 45 | სტოკპორტი-უიკომბი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 46 | ტორკი-შრიუსბერი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 47 | რექსემი-ჩელტენემი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**10 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 60 | სელტიკი-აბერდინი | 1.25 | 4.80 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.00 |
| 18:00 | 61 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 10.00 | 5.00 | 1.20 | 3.33 | 1.07 | 1.00 |
| 18:00 | 62 | ჰიბერნიანი-დანდი იუნ. | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 18:00 | 63 | ინვერნესი-მოზერუელი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 64 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |

**11 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 65 | ლივინგსტონი-ჰართსი | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**10 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 66 | ბრეჩინი-კლაიდი | 2.65 | 3.50 | 2.20 | 1.50 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 67 | დანდი-ერდრი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| 18:00 | 68 | ქუინი-სტ.მირენი | 3.10 | 3.40 | 1.95 | 1.62 | 1.19 | 1.23 |
| 18:00 | 69 | სტ.ჯონსტონი-როსი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 70 | სტრანრარი-ჰამილტონი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

**10 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 71 | ალოა-ფორფარი | 2.00 | 3.50 | 2.95 | 1.27 | 1.19 | 1.60 |
| 18:00 | 72 | ეარი-პარტიკი | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.31 | 1.20 | 1.46 |
| 18:00 | 73 | მორტონი-გრეტნა | 2.35 | 3.30 | 2.50 | 1.37 | 1.21 | 1.42 |
| 18:00 | 74 | პიტერჰედი-დამბარტონი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 18:00 | 75 | რეითი-სტირლინგი | 1.70 | 3.40 | 3.90 | 1.13 | 1.18 | 1.81 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

**10 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 76 | ალბიონი-ისტ ფაიფი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 77 | არბროთი-სტენჰაუზმუირი | 2.85 | 3.30 | 2.10 | 1.52 | 1.20 | 1.28 |
| 18:00 | 78 | კოუდენბითი-ბერიკი | 2.65 | 3.40 | 2.20 | 1.48 | 1.20 | 1.33 |
| 18:00 | 79 | ისტ სტირლინგი-მონტროუზი | 3.60 | 3.50 | 1.75 | 1.77 | 1.17 | 1.16 |
| 18:00 | 80 | ელგინი-ქუინზ პარკი | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**10 სექტემბერი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 81 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 17:30 | 82 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 17:30 | 83 | ლევერკუზენი-შალკე | 2.40 | 3.30 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 17:30 | 84 | მაინცი-ჰამბურგი | 3.25 | 3.30 | 2.05 | 1.63 | 1.25 | 1.26 |
| 17:30 | 85 | მიონხენგლადბახი-დუისბურგი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 17:30 | 86 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 6.20 | 3.70 | 1.50 | 2.31 | 1.20 | 1.06 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 87 | შტუტგარტი-არმინია | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 88 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 19:30 | 89 | დორტმუნდი-კიოლნი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |

## ავსტრია. ბუნდესლიგა

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 118 | პაშინგი-გრაცერი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 20:30 | 119 | ტიროლი-მატერსბურგი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 20:30 | 120 | შტურმი-რიდი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 20:30 | 121 | ადმირა-რაპიდი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 122 | აუსტრია-ზალცბურგი | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | 1.77 |

## ავსტრია. I დივიზიონი

**9 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 123 | ალტახი-კერნტენი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 21:00 | 124 | აუსტრია(მ)-აუსტრია(ლ) | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:00 | 125 | კუფშტაინი-კაფენბერგი | 3.30 | 3.20 | 1.90 | 1.62 | 1.20 | 1.19 |
| 21:00 | 126 | ლეობენი-ლინცერი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 21:00 | 127 | შვანენშტადტი-გრატკორნი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |

## შვეიცარია. სუპერლიგა

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 128 | ივერდონი-ციურიხი | 3.60 | 3.20 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |
| 21:30 | 129 | იანგ ბოიზი-თუნი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 130 | შაფჰაუზენი-აარაუ | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 16:30 | 131 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 18:15 | 132 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2.75 | 3.30 | 2.30 | 1.50 | 1.25 | 1.35 |

## იტალია. სერია A

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 147 | მილანი-სიენა | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 20:00 | 148 | პალერმო-ინტერი | 3.50 | 3.10 | 2.00 | 1.64 | 1.27 | 1.21 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 142 | კალიარი-ლაციო | 2.20 | 3.10 | 3.15 | 1.28 | 1.29 | 1.56 |
| 17:00 | 143 | კიევო-პარმა | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 144 | ემპოლი-იუვენტუსი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 17:00 | 145 | ლეჩე-ასკოლი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 17:00 | 146 | მესინა-ფიორენტინა | 2.65 | 2.90 | 2.70 | 1.38 | 1.33 | 1.39 |
| 17:00 | 149 | რომა-უდინეზე | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 17:00 | 150 | სამპდორია-რეჯინა | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 17:00 | 151 | ტრევიზო-ლივორნო | 2.50 | 2.90 | 2.85 | 1.34 | 1.33 | 1.43 |

## ესპანეთი. I დივიზიონი

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 183 | ბეტისი-ოსასუნა | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:45 | 185 | დეპორტივო-ატლეტიკო | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 187 | რეალი-სელტა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 21:00 | 184 | ხეტაფე-ბილბაო | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 23:00 | 186 | მალაგა-ესპანიოლი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 21:00 | 188 | რასინგი-კადისი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 21:00 | 189 | ვილიარეალი-სევილია | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 23:00 | 191 | სარაგოსა-ვალენსია | 2.65 | 3.00 | 2.60 | 1.40 | 1.31 | 1.39 |
| 21:00 | 546 | სოსიედადი-ალავესი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |

## ესპანეთი. II დივიზიონი

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 196 | ეიბარი-ალბასეტე | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 20:30 | 198 | ჰერკულესი-ალმერია | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 20:30 | 200 | ლეიდა-ნუმანსია | 2.80 | 3.00 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 195 | სიუდადი-რეალი(ბ) | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 197 | სპორტინგი-უელვა | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 14:00 | 199 | ლევანტე-ელჩე | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 19:00 | 201 | ლორკა-მურსია | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 21:00 | 202 | ეხიდო-ფეროლი | 1.95 | 3.00 | 3.75 | 1.18 | 1.28 | 1.66 |
| 21:00 | 203 | ტენერიფე-მალაგა ბ | 1.80 | 3.00 | 4.60 | 1.12 | 1.29 | 1.81 |
| 19:00 | 204 | ვალიადოლიდი-ტარაგონა | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 21:00 | 205 | სერესი-კასტელონი | 1.75 | 3.10 | 4.65 | 1.11 | 1.27 | 1.86 |

## საფრანგეთი
## I დივიზიონი

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 207 | ტულუზი-ლე მანი | 2.00 | 2.90 | 3.85 | 1.18 | 1.31 | 1.65 |
| 22:00 | 208 | ტრუა-ნანტი | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 22:00 | 209 | მეცი-ლილი | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 22:00 | 210 | ნიცა-სტ.ეტიენი | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 22:00 | 211 | პსჟ-სტრასბური | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 22:00 | 212 | რენი-ოსერი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 22:00 | 213 | აიაჩო-ნანსი | 1.85 | 3.00 | 4.30 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| 19:15 | 215 | ლიონი-მონაკო | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 206 | სოშო-მარსელი | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| 20:00 | 214 | ლანსი-ბორდო | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი

**8 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 216 | ამიენი-შატორუ | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |

## ბელგია
## I დივიზიონი

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 226 | გენტი-გენკი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 22:00 | 227 | ვესტერლო-ბრიუსელი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:00 | 228 | ვარეგემი-ბეერსხოტი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 229 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 22:00 | 230 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| 22:00 | 231 | შარლერუა-რუზელარე | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 22:00 | 232 | ლუვიე-სერკლი | 1.90 | 3.30 | 3.45 | 1.20 | 1.22 | 1.68 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 233 | ლოკერენი-ლიერსი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 22:00 | 234 | სტანდარდი-ბევერენი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |

## ჰოლანდია. I დივიზიონი

**9 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 244 | ვალვაიკი-როდა | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 245 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 21:30 | 246 | პსვ-უტრეხტი | 1.25 | 4.60 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.09 |
| 21:30 | 247 | ტილბურგი-აიაქსი | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 22:00 | 248 | ალკმაარი-როზენდალი | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 249 | ფეიენოორდი-ნაიმეგენი | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| 16:30 | 250 | გრონინგენი-სპარტა | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 16:30 | 251 | ბრედა-დენ ჰააგი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 16:30 | 252 | ტვენტე-ვიტესი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |

## ჰოლანდია. II დივიზიონი

**8 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 254 | მაასტრიხტი-დენ ბოსხი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია, სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 268 | გიმარაეში-ბრაგა | 2.45 | 3.10 | 2.70 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 271 | პორტუ-რიუ ავე | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 23:45 | 272 | სპორტინგი-ბენფიკა | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:15 | 264 | აკადემიკა-სეტუბალი | 1.95 | 3.10 | 3.65 | 1.19 | 1.27 | 1.67 |
| 20:00 | 265 | ამადორა-ნავალი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 23:30 | 266 | ბოავიშტა-ფერეირა | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 267 | ჟილ ვისენტე-ნასიონალი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 19:00 | 269 | ლეირია-მარიტიმუ | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 270 | პენაფიელი-ბელენენსეში | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 291 | დიარბაქირი-კაისერი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 21:00 | 292 | ერჯიესი-მალათია | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 22:00 | 293 | ფენერბაჰჩე-ანკარა | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 19:30 | 296 | რიზე-ბეშიქთაში | 5.50 | 3.40 | 1.60 | 2.10 | 1.23 | 1.08 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 290 | დენიზლი-ანკარაგიუჯიუ | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 21:00 | 294 | გალათასარაი-სივასპორი | 1.15 | 6.20 | 11.50 | 1.00 | 1.04 | 4.02 |
| 21:00 | 295 | გენჩლერბირლიგი-კონია | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 21:00 | 297 | სამსუნი-მანისა | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 19:30 | 298 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1.40 | 4.20 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.55 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 299 | ალანია-მოსკოვი | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 15:00 | 300 | ცსკა-შინიკი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 15:00 | 301 | კრილია-ტორპედო | 2.40 | 3.00 | 2.85 | 1.33 | 1.30 | 1.46 |
| 15:00 | 302 | როსტოვი-ამკარი | 1.95 | 3.00 | 3.85 | 1.18 | 1.29 | 1.68 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 303 | დინამო-რუბინი | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 15:00 | 304 | ტერეკი-სპარტაკი | 3.70 | 3.00 | 1.95 | 1.65 | 1.27 | 1.18 |
| 15:00 | 305 | ტომსკი-სატურნი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 322 | ბრნო-ბანიკი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 324 | სპარტა-იპლავა | 1.20 | 5.60 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.58 |
| 20:00 | 325 | ზლინი-იაბლონეცი | 2.35 | 2.90 | 2.85 | 1.29 | 1.28 | 1.43 |
| 16:25 | 328 | პლზენი-სლავია | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 326 | ბოლესლავი-ტეპლიცე | 2.40 | 3.00 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 327 | მოსტი-ბლშანი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 19:00 | 329 | პრჟიბრამი-სიგმა | 2.40 | 2.90 | 2.70 | 1.31 | 1.27 | 1.39 |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:40 | 323 | ლიბერეცი-სლოვაცკო | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 346 | ბრიონდბიუ-სიონდერიისკე | 1.30 | 4.60 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 347 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.75 | 3.50 | 4.20 | 1.16 | 1.23 | 1.90 |
| 17:00 | 348 | ოლბორგი-ნორდსიელანდი | 1.75 | 3.50 | 4.20 | 1.16 | 1.23 | 1.90 |
| 17:00 | 349 | სილკებორგი-ჰორსენსი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 350 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 21:00 | 351 | ოდენსე-კოპენჰაგენი | 2.85 | 3.30 | 2.20 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 360 | ვიკინგი-რუსენბორგი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 548 | ვოლერენგა-მოლდე | 1.45 | 4.00 | 6.00 | 1.06 | 1.16 | 2.40 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 361 | ბოდიო გლიმტი-ტრომსიო | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 20:00 | 363 | ლინი-ოდ გრენლანდი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 20:00 | 364 | სტარტი-ჰამარი | 1.60 | 3.70 | 4.80 | 1.11 | 1.20 | 2.08 |
| 22:15 | 365 | ლილესტრიომი-ბრანი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 368 | ტონსბერგი-ალტა | 1.65 | 4.20 | 3.80 | 1.18 | 1.15 | 1.99 |
| 18:00 | 369 | ჰიოდი-ჰიონეფოსი | 2.25 | 3.80 | 2.50 | 1.41 | 1.18 | 1.50 |
| 18:00 | 370 | [illegible] | 2.25 | 3.60 | 2.60 | 1.38 | 1.20 | 1.50 |
| 18:00 | 371 | მანდალი-ბრინი | 2.70 | 3.80 | 2.10 | 1.57 | 1.18 | 1.35 |
| 18:00 | 372 | სკეიდი-ლოვ ჰამი | 1.90 | 4.00 | 3.00 | 1.28 | 1.16 | 1.71 |
| 17:45 | 373 | სოგნდალი-სტაბეკი | 2.60 | 3.80 | 2.15 | 1.54 | 1.17 | 1.37 |
| 20:00 | 374 | სტრიომსგოდსეტი-მოსი | 2.30 | 3.70 | 2.45 | 1.41 | 1.18 | 1.47 |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 375 | ფოლო-სანდეფიორდი | 3.70 | 4.00 | 1.70 | 1.92 | 1.16 | 1.19 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 376 | ჰეკენი-ჰალმსტადი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 19:00 | 377 | ჰელსინგბორგი-ასირისკა | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 19:00 | 378 | კალმარი-ლანდსკრონა | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 379 | იორგრიტე-ჰამარბი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 21:00 | 380 | სუნდსვალი-გიოტებორგი | 3.20 | 3.10 | 2.05 | 1.57 | 1.24 | 1.23 |
| 21:00 | 381 | იურგორდენი-მალმიო | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 21:00 | 382 | ელფსბორგი-გეფლე | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 386 | დეგერფორსი-მიალბი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 | 387 | ვესბი-ბრომაპოიკარნა | 2.60 | 3.30 | 2.25 | 1.45 | 1.20 | 1.33 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:10 | 388 | ფალკენბერგი-გაის | 3.40 | 3.40 | 1.90 | 1.70 | 1.21 | 1.21 |
| 18:00 | 389 | ტრელებორგი-ბოდენსი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 390 | ვესტეროსი-ფრიოლუნდა | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 405 | უოტერფორდი-ჰერპსი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 22:45 | 406 | კორკი-ბრეი | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 22:45 | 407 | დერი-ლონგფორდი | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 22:45 | 408 | შემროკი-შელბურნი | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 22:45 | 409 | სტ.პატრიკსი-ბოჰემიანი | 2.40 | 3.00 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.40 |
| 22:45 | 410 | დუბლინი-დროგედა | 2.40 | 2.90 | 2.70 | 1.31 | 1.27 | 1.39 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 463 | პალმეირასი-კურიტიბა | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 464 | ფლამენგო-ინტერნასიონალი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 545 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |

**სხვა სახის ფსონებზე გაეცნობით ადგილზე**


ნესტორ ხერგიანი


დავით მარგოშვილი


დავით ქევხიშვილი


გრიგოლ შინჯიკაშვილი


ზურაბ ზვიადაური


გია გუგავა


ლაშა გუჯეჯიანი


გიორგი ყიზილაშვილი

# პროგნოზი ქართულ ფონზე

## ვინ გადმოხედავს მსოფლიოს ქაიროს ციდან

**დღეს ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. კვირის ბოლომდე პლანეტის რვა უძლიერესი გამოვლინდება, ორშაბათს კი ნაკრებები უკვე გუნდური პირველობისთვის დაეჭიდებიან ერთმანეთს.**

**შოთა ხაბარელის** გუნდი ეგვიპტეში გუშინ გამთენიისას გაფრინდა. მწვრთნელმა ძირითადი რვა სპორტსმენის გარდა თან სამი სათადარიგოც იახლა. გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ), ირაკლი ცირეკიძე (90კგ) და ივერი ჯიქურაული (100კგ) სავარაუდოდ ტატამზე გუნდურის საჭიდაოდ გავლენ, პირადში კი საქართველოს ღირსებას ნესტორ ხერგიანი (60კგ), დავით მარგოშვილი (66კგ), დავით ქევხიშვილი (73კგ), გრიგოლ შინჯიკაშვილი (81კგ), ზურაბ ზვიადაური (90კგ), გია გუგავა (100კგ), ლაშა გუჯეჯიანი (100კგ) და გიორგი ყიზილაშვილი (აბსოლუტური) დაიცავენ. დღეს საჭიდაოდ მძიმე და 100-კილოგრამამდე წონების ძიუდოისტები გავლენ, ხვალ — 90 და 81 კილოგრამიანები, შაბათს — 73 და 66, ხოლო კვირას 60 და აბსოლუტური.

მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გუშინ ყველა წონის წინასწარი განაცხადი გამოაქვეყნა და გულშემატკივრებს საინტერესო გათამაშების შესაძლებლობაც აუწყა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მომავალი ჩემპიონატის ოქროს მედალოსნების გამოცნობა სცადოს. თექვსმეტივე ჩემპიონის (რვა ქალის და რვა კაცის) გამომცნობი 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რიო დე ჟანეიროში, უფასოდ გაემგზავრება. სხვა წარმატებული პროგნოზიორები კი სპორტულ ინვენტარს მიიღებენ.

თუ ინებებთ და www.ippon.org-ზე შეხვალთ, ერთ სასიამოვნო სიურპრიზსაც გადაეყრებით. ჩემპიონთა არჩევანის გაკეთებისას ფონად დადებულ საქართველოს ნაკრების სურათს ადვილად შენიშნავთ.


შოთა ხაბარელი

ისევ ხაბარელის რჩეულებს მივუბრუნდეთ და მათ შანსებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. გულშემატკივრის მთავარი იმედი, თქმაც არ უნდა, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაურია. ბოლო ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე (2001 და 2003 წლებში) მან ფინალში იჭიდავა და ორჯერვე ვერცხლის მედალს დასჯერდა. მესამე და სამართალიო — აქეთ დაგვაიმედა ეგვიპტეში გამგზავრებისას, მაგრამ იქვე მუხლის ტრავმაც ახსენა, მთავარია, ამან არ დამალალატოსო.

„ზვიადაურს ალბათ გამაყუჩებლებით მოუწევს ტატამზე გასვლა- გვითხრა შოთა ხაბარელმა — სამწუხაროდ, ბოლო შეკრებისას მიღებული ტრავმისგან ბოლომდე ვერ განიკურნა.

ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონს იქნებ ქაიროში ერთი მძიმე დარტყმის მოგერიებაც დასჭირდეს. მისი ბიძაშვილი ჯარჯი ზვიადაურიც (ილიას ილიადისი) 90 კილოგრამში იჭიდავებს და რახან ორივე ფავორიტად მიიჩნევა, სავსებით შესაძლებელია, ერთმანეთთანაც მოუწიოთ დაჭიდება.

ქართულ შემადგენლობაში მსოფლიოს მედალი ნესტორ ხერგიანსაც აქვს. ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი 1999 წელს ბირმინგემში მესამე ადგილზე გავიდა, ახლა კი უკეთეს შედეგს ელის. თან ეგვიპტეში იაპონელი ტადაჰირო ნომურაც არ ჩავა, ნესტორს ათენი 2004-ის ფინალში რომ მოუგო.

საწყისი ორი წონის კენჭისყრა წუხელ გვიან გაიმართა და გუჯეჯიანის და გუგავას დღევანდელ მეტოქეებზე ვერაფერს გეტყვით. ვებ-გვერდის მიერ გამოქვეყნებული ზემოთ ნახსენები სიის მიხედვით მსჯელობა კი ცოტა ძნელია . მასში ცვლილებები რომ იქნება, იქიდანაც ჩანს, რომ 81 კილოგრამში ჩვენი ნაკრებიდან მამრიკიშვილია შეყვანილი.

ბოლოს ერთი საგულისხმო ინფორმაციაც. 1965 წლის რიო დე ჟანეიროს მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული ოქროს მედლის მოპოვება მხოლოდ სამმა ჩვენებურმა მოახერხა. თემურ ხუბულურმა (ორჯერ), ამირან ტოტიკაშვილმა და კობა კურტანიძემ ეს წინა საუკუნის 70-80-იან წლებში საბჭოთა კავშირის სახელით შეძლეს. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით კი მსოფლიოსთვის ზემოდან ჯერ არავის გადმოუხედავს.

**ოთარ გალაკელიძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***

### მსოფლიოს ჩემპიონატების ქართველი ჩემპიონ-პრიზიორები

**1965 რიო დე ჟანეირო, ბრაზილია**
II ანზორ ქიბროწაშვილი (აბს)
III ანზორ კიკნაძე (აბს)

**1967 სოლტ ლეიკ სიტი, აშშ**
III ანზორ კიკნაძე (+93)

**1969 მეხიკო, მექსიკა**
III გივი ონაშვილი (+93)

**1973 ლოზან, შვეიცარია**
II ჯიბილო ნიჟარაძე (+93)
III შენგელი ფიცხელაური (63)

**1975 ვენა, ავსტრია**
III რამაზ ხარშილაძე (93)
III შოთა ჩოჩიშვილი (აბს)

**1979 პარიზი საფრანგეთი**
I თემურ ხუბულური (95)
III თამაზ ნამგალაური (71)

**1981 მაასტრიხტი, ჰოლანდია**
I თემურ ხუბულური (95)
III დავით ბოდაველი (86)

**1983 მოსკოვი, სსრკ**
III თამაზ ნამგალაური (71)
III შოთა ხაბარელი (78)

**1989 ბელგრადი, იუგოსლავია**
I ამირან ტოტიკაშვილი (60)
I კობა კურტანიძე (95)
II აკაკი კიბორძალიძე (აბს)
III გიორგი თენაძე (71)

**1991 ბარსელონა, ესპანეთი**
II დავით ხახალეიშვილი (აბს)
III ვლადიმერ დგებუაძე (71)

**1993 ჰემილტონი, კანადა**
II დავით ხახალეიშვილი (+95)
III გიორგი ვაზაგაშვილი (60)
III დავით ხახალეიშვილი (აბს)

**1995 მაკუჰარი, იაპონია**
II გიორგი ვაზაგაშვილი (60)
III დავით ხახალეიშვილი (აბს)

**1997 პარიზი, საფრანგეთი**
II გიორგი რევაზიშვილი (60)
III გიორგი ვაზაგაშვილი (65)

**1999 ბირმინგემი, ინგლისი**
III ნესტორ ხერგიანი (60)
III გიორგი რევაზიშვილი (73)

**2001 მიუნხენი, გერმანია**
II ზურაბ ზვიადაური (90)

**2003 ოსაკა, იაპონია**
II ზურაბ ზვიადაური (90)

### მეოთხე წრე

### კაცები

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4 6:7 (3:7) 6:3 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (3, ავსტრალია) — დომინიკ ჰრბატი (15, სლოვაკეთი) 6:1 6:4 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (11, არგენტინა) — დავიდე სანგინეტი (იტალია) 4:6 7:6 (7:4) 6:4 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 2:6 6:7 (6:8) 3:6

### მეოთხედფინალი

### ქალები

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ნადია პეტროვა (9, რუსეთი) 7:5 4:6 6:4; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — ვინუს უილიამსი (10, აშშ) 4:6 7:5 6:1

## US OPEN 2005

# ჰიუიტი ფედერერისთვის ჩოგანს ილესავს

**ავსტრიელი ლეიტონ ჰიუტი, რა თქმა უნდა, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. მეოთხე წრეში მან სლოვაკი დომინიკ ჰრბატი დამარცხა, მეოთხედფინალში გავიდა, იქ კი მისი გზა ფინელ იარკო ნიემინენთან გადაიკვეთა. მასთან შეხვედრამდე ლეიტონს ინტერვიუ ჩამოართვეს, რომელსაც აქვე გთავაზობთ**



ლეიტონ ჰიუტი



როჯერ ფედერერი

**— გილოცავთ, ლეიტონ. ახლა, მეოთხედფინალში გელით მეტოქე, რომელმაც განაცხადა, რომ თქვენთან შეხვედრაში დასაკარგი არაფერი აქვს. თანაც, ის ძალიან კარგად თამაშობს. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— დიახ, იარკო ნიემინენი ძლიერი მოთამაშეა. რამდენჯერმე შევხვედრივართ კორტზე ერთმანეთს და ვიცი, რომ იოლ ქულებს არ არიგებს. პლუს, მას მეტოქეზე ზეწოლაც შეუძლია. ვიცი მისი ტექნიკური მხარეებიც. ასე რომ, ჩემი ამოცანაა მას თავს ჩემი თამაში მოვახვიო.

**— დღეს ისე ჩანდა, რომ თავს მთლიანად აკონტროლებდით. როგორ ფიქრობთ, ეს თქვენი საუკეთესო თამაში იყო ამ კვირაში?**

— დიახ, ვგონებ დღეს ერთი ნაბიჯით მაღლა ავედი. ყველაზე კარგი ის იყო, რომ კორტზე ზუსტად შევასრულე ყველაფერი, რისი გაკეთებაც მოფიქრებული და დაგეგმილი მქონდა. და იცით, ერთი წუთითაც არ მიგრძვნია, რომ ზეწოლის ქვეშ ვიყავი, არც ჩემს და არც მის ჩაწოდებებზე.

**— როდესაც დომინიკ ჰრბატის მსგავს მეტოქეს ხვდებით, ანუ ეთამაშებით კაცს, რომელიც მატჩის წინ ამბობს, რომ კუდით ქვა უნდა გასროლინოთ და სხვა, უფრო მობილიზებული და გაბრაზებული ხართ?**

— დიახ, რა თქმა უნდა. სხვათა შორის, დომენიკი მონაწილეთა შორის ფიზიკურად უძლიერესთაგანია, მაგრამ მე იმთავითვე ნათლად ვიცოდი, რომ მასთან მარათონული მატჩი არ უნდა მომეწყო. ძალიან კმაყოფილი ვარ ასე კომფორტულად რომ მოვიგე და მაინც ლაჟვარდზე ... არ დამიხარჯავს. ... თავადაც ჩინებულად ვგრძნობდი თავს და, მართალი რომ გითხრათ, ვერც მეტოქემ ჩამაგდო განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში.

**— ტეილორ დენტთან მძიმე მატჩის შემდეგ ალბათ, ამ თამაშის მსგავსი განტვირთვა გჭირდებოდათ.**

— დიახ, ასე გამარჯვება ისედაც ყოველთვის სასიამოვნოა, მითუფრო, ისეთი მძიმე მატჩის მერე, როგორიც ტეილორთან მქონდა.

**— მითუმეტეს, რომ თქვენ ენერგია გჭირდებათ. სრულიად შესაძლებელია შემდეგ ფედერერს გადაეყაროთ.**

— იცით, ათიდან ცხრა შემთხვევაში ვფიქრობ, რომ თუ ტურნირის მოგება მინდა, რომელიმე ეტაპზე როჯერს უნდა ვაჯობო. ეს არ არის ფსიქოლოგიური მომზადების ხერხი, ეს აუცილებლობაა. ასე რომ, ფედერერისთვის ენერგია ნამდვილად მჭირდება. კარგია, როცა სავარაუდო მეტოქე ამთავითვე იცი. მეორე მხრივ, ნიემინენის ძლევაზე საათნახევარი დამეხარჯება თუ ოთხსაათნახევარი, ვიცი, რომ მე გამარჯვება მჭირდება.

**— ანდრე აგასიმ თქვა, რომ ქმრობა და მამობა ბევრ რამეს ცვლის. თქვენ რა შეგიძლიათ ამ თემაზე გვითხრათ?**

— იცით, ქორწინება არც ისე ცვლის ყველაფერს, როგორც ამბობენ. მართალია, ჩემი ცხოვრება მიხედება, მაგრამ ... იცით ჩემთვის მთავარი ახლაც ტენისია და გაისადაც ასე იქნება.



# დაიღალა ქალი





**რუსი ელენა ისინბაევა ისე ხშირ-ხშირად ამყარებს მსოფლიოს რეკორდებს ჭოკით ხტომაში, რომ მისგან ასეთ შედეგებს ყოველ შეჯიბრებაზე ველით, ხოლო თუ ასეთ სიმაღლეს ვერ დაძლევს, მაშინ მას გამარჯვებაც კი უკვე წარუმატებლობად ეთვლება. ასე იყო მოსკოვში გამართულ ამერიკისა და რუსეთის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრაშიც, სადაც მაღალი შედეგით გამარჯვების მიუხედავად, მისი წარმატება მაინც წარუმატებლობად მიიჩნიეს.**

**ელენა ისინბაევას მწვრთნელმა ევგენი ტრიფონოვმა ისაუბრა იმის თაობაზე, თუ მისმა აღსაზრდელმა ამერიკა-რუსეთის მატჩზე რატომ ვერ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი და ამ სახეობაში სარეკორდო ჭერიც განსაზღვრა.**

**— ამ შეჯიბრებაში ელენა ცდილობდა მსოფლიოს რეკორდის დამყარებას, მაგრამ არ გამოუვიდა. რატომ?**

— რეკორდისთვის შესაბამისი ატმოსფეროა საჭირო. თუ იცით, რატომაა, რომ იგი უცხოეთში ყოველთვის ძალიან მაღლა ხტება?

საქმე ისაა, რომ იქ ტრიბუნებზე 20-დან 40 ათასამდე მაყურებელი მაინც იყრის თავს. გულშემატკივრები ელენას ამხნევებენ და აქეზებენ. და ეს მას კოლოსალურ ენერგიას აძლევს. მოსკოვში ასე არ ყოფილა. იგი ცდილობდა მაყურებლის გამოფხიზლებას, მაგრამ არ გამოუვიდა.

**— თანაც, ახლა ხომ სეზონის ბოლოა?**

— ამანაც თავისი როლი ითამაშა. რაც არ უნდა იყოს, მსოფლიოს რეკორდის დამყარება ყოველთვის შეუძლებელია.

**— მოგვეჩვენა, რომ ლენას რაღაც სევდიანი გამოხედვა ჰქონდა.**

— დაიღალა გოგო. ამიტომაც თვალებში ცეცხლი გაუქრა. რაც არ უნდა იყოს, წლეულს ეს მისი მეცხრე სტარტი იყო. დაიღალა-მეთქი ქალი!

**— ახლა მოსკოვში მსოფლიოს რეკორდის დამყარების ცდამდე მხოლოდ ორჯერ გადახტა. იქნებ ეს ცოტა იყო და ვერ გახურდა?**

— არა, მოთელვისას ყველაფერი რიგზე იყო. ხომ გითხარით, სექტორში კონკურენტები არ ჰყავდა, სტადიონზე კამერული ვითარება იყო, ხალხი იჯდა და მშვიდად უყურებდა, როგორც თეატრში. ასეთ პირობებში ძნელია ხტომა. მაგრამ მე მაინც ყველაფერს დაღლას ვაბრალებ. უკვე მესამე თვეა, რაც ელენა ბრწყინვალე ფორმაშია, ასე დიდხანს ტონუსის შენარჩუნება კი შეუძლებელია.

**— ამინდის გამო მის ტაქტიკაში ცვლილებები ხომ არ შეგიტანიათ. რაც არ უნდა იყოს ძლიერი ქარი ქროდა.**

— ჰო, ცოტათი შევცვალეთ ჭოკის ტარების კუთხე, მისი სიმკვრივე. ცოტა რამ თავად ხტომის ტექნიკაშიც შევცვალეთ.

**— როგორი გეგმები აქვს ელენას სეზონის ბოლოს?**

— ახლა ვოლგოგრადში გადავფრინდებით რამდენიმე დღით, მერე კი მონაკოში ჩავალთ გრან-პრიზე. ამას მოჰყვება შანხაი, სეზონს კი იოკოჰამაში დავასრულებთ. ვალდებული ვართ, ამ შეჯიბრებებზე გამოვიდეთ.

**— ამ შეჯიბრებათაგან რომელიმეზე ალბათ ეცდებით 5,02 მეტრის დაძლევას, რაც მსოფლიოს რეკორდი იქნება.**

— რა თქმა უნდა, ვეცდებით ამას თითოეულ ქალაქში შევეცდებით.

**— ხომ არ ნანობთ, რომ მოსკოვში გამოსვლით ენერგია დახარჯეთ. რაც არ უნდა იყოს, ამ შეჯიბრების დონე სასურველი მაინც ვერაა.**

— არა, არ ვნანობთ. ამ ტურნირს მხარდაჭერა უნდა და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ მან ძალა მოიკრიბოს, რათა რეკლამა მიიღოს. რუსეთში ძალიან ცოტა მაღალი დონის შეჯიბრება ტარდება. მე არ ვისაუბრებდი ფინანსურ მომენტებზე. მოსკოვის ტურნირზე ფული მეორე პლანზე გადადის.

**— მაგრამ გაისად ლენა მოსკოვში ასეთსავე შეჯიბრებებზე ჩამოვა. თუ იგი აღარ ისურვებს ასეთ კამერულ ვითარებაში ხტომას?**

— რა თქმა უნდა, ჩამოვა. მან ახლაც კარგად იასპარეზა და გამარჯვა კიდეც, მაგრამ ვიმეორებ, მსოფლიოს რეკორდს ყოველ ასპარეზობაზე ხომ ვერ დაამყარებ. მისგან მუდამ მსოფლიოს რეკორდებს ელიან, მაგრამ ის რობოტი ხომ არაა.

**— ლენამ ამას წინათ განაცხადა, რომ ქალები ვერასოდეს დაძლევენ ექვსმეტრიან სიმაღლეს. თქვენ ეთანხმებით მას?**

— ვეთანხმები და მეტიც, ქალები ხუთნახევარი მეტრის ზღვარს ვერასოდეს გადახტებიან. ეს მათემატიკურად დადასტურებულია.

**— ესე იგი ლენას წინ კიდევ 49 რეკორდი ელის.**

— ჰო, ამ საუკუნეში ყველაფერი.

# სამი ერი 2005
# სამერული ზე-თხუთმეტი

ლადო ფულუკიძე



შავებმა სამი ერის გარდა ბლედისლოს თასიც შეირგეს

**სამი ერის თასი რამდენიმე დღის წინ დასრულდა და მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა სარაგბო ვებგვერდმა, PLANETRUGBY-მ ტურნირის სიმბოლური ნაკრების საკუთარი ვერსიაც გამოაქვეყნა, რომელიც ჩვენი მკითხველისთვისაც ალბათ საინტერესო იქნება**



წლეულს ახალზელანდიელთა ჰაკამ გაჭრა

## 15 დრიუ მიტჩელი (ავსტრალია)



ავსტრალიელთა მცველი ერთადერთი აღმოჩნდა „ვოლაბების" შემადგენლობიდან, რომელმაც სიმბოლურ ნაკრებში ადგილი დაიმსახურა. მთელი ტურნირის განმავლობაში კარგად მოთამაშე მიტჩელმა, ბოლო თამაში ჩააგდო. მიუხედავად ამისა, ყველა მატჩის ჯამში უდავოდ საუკეთესო 15 ნომერი გახლდათ

## 14 ჯო როკოკოკო (ახ. ზელანდია)



„შავების" ფრთოსანმა სამ ერზე მართლაც დიდებულად ითამაშა, თუმცა საუკეთესოდ თავი დუნედინში, სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ მატჩში წარმოაჩინა. ცოტა თუ მოიძებნება ისეთი მორაგბე, რომელიც მეტფილდის, ბოთასა და ხუან სმიტის წინააღმდეგ თამაშისას სიჩაუქით გამოირჩევა.

## 13 ტანა უმაგა (კაპ. ახ. ზელანდია)



მაორთა ბელადი სიმბოლური ნაკრების კაპიტნად აირჩიეს და ღირსეულადაც. სიმამაცით გამორჩეულმა უმაგამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი კლასი ნახევარდაცვაში თამაშით და როგორც ლიდერიც ხომ სწორუპოვარია.

## 12 ჟან დე ვილიერი (სამხ.აფრიკა)



„ქურციკთა" მწვრთნელმა ჯეიკ უაითმა დევილიერი ბოლოხანს შუამარბად ათამაშა და ამანაც ისე მოირგო 12 ნომერი, რომ მავანი გულშემატკივარი ერთი კარგად შეუძახებდა მწვრთნელს, აქამდე სად იყავიო. გამოზომილი პასებისა და შეტევის წამოწყების უნარის გამო ნამდვილად იმსახურებს სიმბოლურ ნაკრებში შეყვანას.

## 11 ბრაიან ჰაბანა (სამხ.აფრიკა)



წლევანდელ სამერობაზე ჰაბანას დარი მეორე ისეთი მორაგბე არ ყოფილა, რომელიც მატჩში გარდატეხის შეტანას მისებრ შეძლებდა. გარდა ამისა, ტურნირის ბოლოსკენ დაცვაში თამაშითაც აშკარად გამოირჩეოდა.

## 10 დენ კარტერი (ახ. ზელანდია)



კარტერის ტრავმამ ზელანდიელთა შეტევას აშკარად სიმწვავე მოაკლო და სწორედ მის არყოფნაში გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი ძალაა იგი გუნდისთვის. მიუხედავად ტრავმისა, ტურნირის დასაწყისში ნაჩვენები თამაშის წყალობით, მან ზეთხუთმეტეულში აშკარად დაიმსახურა მოხვედრა.

## 9 პირი უიიპუ (ახ. ზელანდია)



4 ჟურნალისტიდან, რომლებმაც სიმბოლური ნაკრები შეადგინეს, ცხრა ნომრის პოზიციაზე ორმა პირი უიიპუს მისცა ხმა, ორმა კი სამხრეთაფრიკელ ენრიკო ჯანუარის. როგორც თავად ჟურნალისტები ამტკიცებენ, ბევრი კამათისა და დავის შემდეგ შეთანხმებას რომ ვერ მიაღწიეს, მონეტა ააგდეს და ასე გადაწყვიტეს უიიპუს სიმბოლურ გუნდში შეყვანის ამბავი.

## 8 როდნი სოოიალო (ახ. ზელანდია)



ნაკრების დაცვის ბურჯიც იყო და ფლანგებზეც გვარიანად უტევდა. იგი იმ საიმედო ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთან ერთადაც ომში წასვლისაც არ შეგეშინდება. ისე კაცმა რომ თქვას, მისი თამაშის შემხედვარე ვერც იფიქრებ, რომ გარშემო მშვიდობაა და არა ომი.

## 7 რიჩი მაკკოუ (ახ. ზელანდია)



ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა და ფორმა სწრაფად აღიდგინა. სამი ერის თასზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფლანკერია.

## 6 შალკ ბურგერი (სამხ.აფრიკა)



წლეულს მისი თამაშის ძალისმიერ სტილს ერთი მეტად საჭირო თვისებაც დაემატა. იგი აღარ იღებს ყვითელ ბარათებს და არ „იკიდებს" უაზრო ჯარიმებს. ახერხებს იმას, რაც ადრე არ გამოსდიოდა და ამის გამო ბევრი აკრიტიკებდა. მოზღვავებულ აგრესიას სარაგბო წესებს უმორჩილებს.

## 5 ვიქტორ მატფილდი (სამხ. აფრიკა)



„ქურციკთა" მეორეხაზელმა ბოლო დროს ცოტა მოუკლო, თუმც ტურნირის დასაწყისში მართლაც გვარიანად ირჯებოდა და სტაბილურობა რომ არ აკლდეს, ალბათ თავის პოზიციაზე მსოფლიოში ბადალი არ ეყოლებოდა.

## 4 კრის ჯეკი (ახ. ზელანდია)



ბოლო ორ მატჩში, რომლებშიც „შავებს" სამხრეთაფრიკელები და ავსტრალიელები განსაკუთრებული სიმწვავით აწვებოდნენ, კრისმა ნამდვილად მსოფლიო დონის კლასის მორაგბისთვის დამახასიათებელი თამაში აჩვენა.

## 3 კარლ ჰაიმანი (ახ. ზელანდია)



ზელანდიელთა შერკინების სული და გული, კარლ ჰაიმანი ერთ-ერთია იმ ოთხთაგან, რომელთა სიმბოლურ ნაკრებში შეყვანაც ოთხივე ჟურნალისტმა ერთხმად გადაწყვიტა. მისი დაპირისპირება სამხრეთაფრიკელ ოზ დუ რანდტთან, ამ ტურნირზე შერკინებათა ბრძოლის კლასიკად იქცა.

## 2 კევინ მეალამუ (ახ. ზელანდია)



წლეულს შეტევაში შესანიშნავი თამაშითა და მოედანზე დაუღლელი შრომით მეალამუმ აშკარად წლის საუკეთესო ორი ნომრის სახელი დაიმსახურა.

## 1 ოზ დუ რანდტი (სამხ.აფრიკა)



კარგ ღვინოს გვაგონებს, რომელიც საუკეთესო თვისებებს დაძველებისას ავლენს. ბებერი „ქურციკი" ასაკის მიუხედავად ისე ირჯება, რომ ბევრ ახალგაზრდას მისცემს მაგალითს. ზოგიერთი ამტკიცებდა, ვეტერანი ახალზელანდიელებთან 80 წუთს ვერ გაძლებს მინდორზეო, თუმცა სკეპტიკოსთა იმედის გასაცრუებლად დუ რანდტმა მატჩიც ბოლომდე ჩაამთავრა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაყურებელს კარლ ჰაიმანთან ერთად შესანიშნავი სარაგბო დუელი აჩუქა.

**ბოლოს ერთიც დავამატოთ, ზემოჩამოთვლილი თხუთმეტი კაციდან მხოლოდ ოთხია ისეთი, რომელთა სიმბოლურ ნაკრებში შეყვანაზეც ჟურნალისტები ერთხმად შეთანხმდნენ. კარლ ჰაიმანის გარდა ესენი არიან: ვიქტორ მეტფილდი, ბრაიან ჰაბანა და ჟან დევილიერი.**

**საქართველოს** ნაკრებმა სპორტის სასახლეში მაკედონიელები დაამარცხა და ოცნება გააცოცხლა. დიდებული შეგრძნებაა, შენი ქვეყნის ეროვნული გუნდი მეტოქეს რომ უგებს, მაგრამ ამ ტკბილ გრძნობას სინანულიც ახლავს — აი, ფინეთში რომ არ წაგვეგო...

ამ გამარჯვებით ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა საკვალიფიკაციო ჯგუფში პირველობის და ევროპული კალათბურთის სიღრმიდან ამოყვინთვის შანსი დაიბრუნა, მაგრამ (ეს მაგრამ ვერ მოვიშორეთ) ახლაი სამწუხაროდ, ჩვენს ბედს ჩვენვე ვეღარ გადავწყვეტთ, ჩვენი მომავალი სხვაზეა დამოკიდებული. ჯგუფში პირველი ადგილი რომ დავიკავოთ და სანაკრებო ევროპის A დივიზიონში მოსახვედრ პლეი ოფისკენ გზა გაგვეხსნას, ამისთვის ფინელებმა მაკედონიაში უნდა იმარჯვონ, სასურველია, მცირე ანგარიშით, რათა ჩვენ სამს ერთმანეთში თანაბრად დაგვიგროვდეს მოგებები და უკეთეს-უარესი ქულათა ბალანსმა გაარკვიოს.

ესეც ოცნების სფეროა, მაკედონიამ შარშან ფინეთი ფინეთშივე 9 ქულით დაამარცხა და 10 სექტემბერს შინ თავისთავად მეტი შანსი აქვს. მოკლედ, ამგვარი სურათი იხატება — სკოპიეში ფინეთის 16 ან მეტქულიანი გამარჯვება ფინეთს უხსნის გზას, 16 ქულაზე ნაკლები სხვაობით მოგების შემთხვევაში პირველობა ჩვენ დაგვრჩება. აი, თუ მაკედონიამ მოიგო, დასათვლელიც აღარაფერი გვექნება, თავად მაკედონია გაკვა პლეი ოფში.



მურმან ... ფოტო

გორდონ ჰერბერტმა საქართველოს პირველი ოფიციალური მატჩი მოაგებინა

საქართველო 73:60 მაკედონია
15:20 16:16 16:13 26:11

| | ქ | მ | პ | ჩ | | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უილიამსი | 18 | 5 | 2 | - | სტეფანოვი | 14 | 5 | 2 | 4 |
| ა. ბოისა | - | 1 | 1 | - | კურტოვიკი | 6 | 5 | - | 2 |
| ცქიტიშვილი | 19 | 13 | 1 | 1 | გუროვი | - | 3 | - | 1 |
| ვ. ბოისა | 20 | 5 | 2 | 5 | სტაკი | 13 | 6 | 1 | 1 |
| ფაჩულია | 13 | 13 | 2 | 1 | ანტიჩი | 12 | 3 | 1 | - |
| გამყრელიძე | 3 | 4 | 3 | 1 | გეჩევსკი | 12 | 4 | - | 2 |
| ცინცაძე | - | 2 | - | - | ბლაჟევსკი | 3 | 2 | 1 | - |
| უგრეხელიძე | - | 1 | - | - | | | | | |

*შენიშვნა: ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა*

# ოცნება გაცოცხლდა

## ფინეთი მარცხი რომ არა...

ჯობს თუ არა ფინეთი მაკედონიას? სპორტის სასახლეში ერთიც გვინახავს და მეორეც, მაგრამ ამაზე ნუ ვიმსჯელებთ. მაკედონიის ნაკრები ხელწამოსაკრავი რომ არაა, გუშინაც ვნახეთ. ყოფილი იუგოსლაველები რიგიანად ბურთაობდნენ და პირველ მეოთხედში გვარიანი ნერვიულობა შეგვახვედრეს. ევროლიგაში ჭიპმოჭრილი ვრბიცა სტეფანოვის დირიჟორობით სტუმრები ორგანიზებულად უტევდნენ დამხვდურებს და უფრო გონივრულად იცავდნენ თავს. საწყის წუთებში საქართველო 4:2 დაწინაურდა და მას შემდეგ მთელი სამი მეოთხედი სტუმრები ლიდერობდნენ. კიდევ ერთი მარცხის გააზრებით დათრგუნული ქართველები კი მძიმედ და ცოტა ნერვიულად ირჯებოდნენ და მეტოქის ზონური დაცვის გარღვევას არცთუ წარმატებით ახერხებდნენ. თავიდან საჯარიმოებიც არ წაუვიდათ, შემონდ უილიამსმაც კი აცილა, სტეფანოვი კი თავის საქმეს მშვენივრად ასრულებდა, ბურთს ათამაშებდა, სატყორცნს ტყორცნიდა და არც გეჩევსკის და ნატურალიზებულ ამერიკელ რაიან სტაკს უგვიანებდა პასებს. მაკედონიამ პირველი მეოთხედი 20:15 მოიგო და მეორეში კი, მას შემდეგ, რაც ცქიტიშვილმა სამქულიანით 25:25 გაათანაბრა, სტუმრებმა 9 უპასუხო ქულა ჩააგდეს და 25:34 დაწინაურდნენ. საქართველოს ნაკრების კანადელმა თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა მეორე 10-წუთეულში ორი წუთშესვენება აიღო და მისმა შეგირდებმა ტაიმის ბევრით არწაგება მოახერხეს — 31:36.

არც მესამე მეოთხედის პირველი წუთები გვიქადდა ნათელ მომავალს. მაკედონიელები პერო ანტიჩის გარღვევის შემდეგ 43:32 დაწინაურდნენ და...

ქართველებმა კრიტიკულ მომენტში მოახერხეს გამოფხიზლება, ფაჩულია და ცქიტიშვილი მანამდეც ომობდნენ, ვლადიმერ ბოისამ კი მესამე მეოთხედში გაშალა ხელ-ფეხი და მომხდურებს შავი დღე აყარა — ჯერ საჯარიმო ჩააგდო, შემდეგ ორიანი, ამას სამიანი მიაყოლა. ამაზეც არ გაჩერდა, სტეფანოვს ბურთი ჩაუჭრა და მის გუნდს ჩაუტენა.

ქართველებმა ბოლო მეოთხედში მხოლოდ ორქულიანი [illegible] შეაბიჯეს — 47:49 და [illegible] რუსთაველმა [illegible] მაკედონელთა კალათას [illegible] და საქართველო 60:49 დაწინაურა, შემდეგ ჩაჭრა და ჩაჭრა და ეს კიდევ ერთხელ [illegible] სპორტის სასახლე [illegible], სავსე რომ ყოფილიყო, მაკედონელების განადგურება არ ასცდებოდათ. ფაჩულიას და ცქიტიშვილის ხელის განძრევას ვერ ახერხებდნენ სტუმართა მეფარეები — სტაკი და გეჩევსკი, [illegible] შემოხდიან და [illegible] მონაცვლეობით [illegible] სტეფანოვს და [illegible] ჩაკლა სტუმართა [illegible]. მაკედონიამ ბოლო მეოთხედის საწყისი 4 წუთი 11:2 წააგო და ბოლომდე ვერც მერე მოახერხა [illegible] გამოსვლა. ქართველებს კი [illegible] გამოსვლიდა. [illegible] საკუთარი სამწამიანიდან მეტოქის ფართან მარტო [illegible] და თუმცა ფიცარნაგიდან მხოლოდ 185 სანტიმეტრის [illegible], [illegible] ქართველმა გამთამაშებელმა [illegible] მოხდენილად ჩატენა. [illegible] და [illegible] ვნება... ეჰ, ფინეთი რომ [illegible] ეყოჩაღათ...

ახლა ისევ ფინეთი [illegible] ლის.

**ირაკლი ფირაშვილი**

ფინეთი 82:62 ლუქსემბურგი

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 5 | 4 | 1 | 427:363 | 9 |
| ფინეთი | 5 | 3 | 2 | 422:377 | 8 |
| საქართველო | 5 | 3 | 2 | 401:367 | 8 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 5 | 322:485 | 5 |







მაკედონიელებს შემონდ უილიამსმაც ჩაუტენა და ნიკა ცქიტიშვილმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფლეშინგ-მაყურებლები

ფლეშინგ მედოუზზე ნაცნობ სახეებს ყოველთვის იპოვნით. მარია შარაპოვასა და ნადია პეტროვას თამაშზე კინოვარსკვლავი ძმები, ალეკ (მარცხნივ) და სტივენ ბოლდუინები გამოჩნდნენ. მოსუქებული და მობერებული ძმები ხალისობდნენ. სხვა კორტზე შტეფი გრაფი თავის მეუღლეს, ანდრე აგასის უცქერს: ღვაწლმოსილი სავიე მალისს ეთამაშება, მამის ცქერას კი პატარა ჯადენიც დასჩვევია. ლეიტონ ჰიუიტის ფეხმძიმე ცოლი ბეკ კარტრაიტი და ჩოგბურთელის და ჯესლინი კი ლეიტონის მიერ სლოვაკ დომინიკ ჰრბატის ძლევას მშვიდად აღიქვამენ.





AFP ფოტო



# ძიუს დიდი ბრძოლა უნდა

კოსტია ძიუს პრესკონფერენცია გაუმართავს მოსკოვში „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციაში და ეს ძველი ლენინ-სტალინური ფონიც იმის ბრალია. ძიუ სამივე დიდი ქამრისთვის ბრძოლას აპირებს. მეტოქეც ველტერის წონის უდავო ჩემპიონი, ზაბ ჯუდა დაუსახავს. ოთხი წლის წინ ძიუს ჯუდა დანოკაუტებული ჰყავს, მაგრამ ახლა სხვა დროა. მოსკოვში კი ძიუ რუს ანტონ სოლოპოვს ეკრივება 10 სექტემბერს, თუმცა, ეს მხოლოდ გართობა და მსუბუქი სამზადისია ტიტულების დასაბრუნებელ გზაზე.



AFP ფოტო




AFP ფოტო

თურქეთის ბურსაში კალათბურთში ქალთა ევროპის ჩემპიონატი გახურებულა. ეს მოხდენილად მტყორცნელი ჩეხი ივეტა ვეჩეროვა გახლავთ. ვერდამფარებელი კი გერმანელი მარლის ასკამპია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლალი ხოძერია, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე
ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელეტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოვრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge